წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი 29 თიბათვე 1916 წ. № 144

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა [illegible] სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

ოთხშაბათს 29 თიბათვეს ქარ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ზ ა ნ უ მ ა

კომედია 3 მოქ. ა. ცაგარელისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. ჯავახიშვილისა, მ. ქილარჯიშვილისა, ნ. მჭედლიშვილი. ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი და ზ. გომელაური. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

სტუმრები შედიან საზოგადო წესით. ◆ წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე
სადილები
ვახშმები

ჩაი
ყავა
ხაჭაპური
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ვამზადებთ

პიროვით ხელმისაწდომ ფასებში

პრაპორშჩიკთა შკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—17

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ე ქ ი მ ი
დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. **ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღ ვ ი ნ ი ს ს ა წ ყ ო ბ ი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ◆

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

თბილისი, 29 თიბათვე

ჩვენი თვითმართველობა და ჭიათურა.

ბათომის, ქუთაისის და თბილისის მოქალაქეთა წრეებს უკვე ჰქონდათ მოლაპარაკება ჭიათურაში არსებულ გერმანელთა წარმოებების ლიკვიდაციის შესახებ. ამ წრეებს სავსებით შეგნებული აქვთ ამ მამულების მნიშვნელობა ჭიათურის მრეწველობისათვის და სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი ამ საკითხის გარშემო ამოქმედდენ. გონივრულია ბათომელების მოსაზრება, რომელიც მათ თბილისელებს დეპუტაციის საშუალებით გადასცეს, რომ ამ საქმის მოგვარება უნდა იკისროს სამმა დაწესებულებამ—ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ და ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობის საკრებულოებმა.

ამ სამი დაწესებულების გამოსვლას ამ საქმეში მოითხოვს, უპირველესად ყოვლისა, მათი ინტერესები. ეს მომენტი რომ სავსებით არ მართლდებოდეს, ცხადზედ უცხადესია, რომ ყველა ამ დაწესებულებათა ამ საქმეზედ ამოქმედება ძნელი იქმნებოდა და სახიფათოც. გერმანელთა ქვეშევრდომების მამულები ჭიათურაში დიდს სიმდიდრეს წარმოადგენს და ეხლანდელს პირობებში შესაძლებელია მათი ხელში ჩაგდება იქმნეს ნახევარ და მესამედ ფასადაც. ეს წარმოებანი ისეა მოწყობილი, რომ მათ ახალ მეპატრონეთ შიში არ უნდა ჰქონდეთ საქმის უცოდინარობისა, თუ გამოუცდელობისა. თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ომის შემდეგ შავი-ქვის მრეწველობის გაფართოება აუცილებელია, ვინაიდან ამ მადანზედ განუსაზღვრელი მოთხოვნილება იქნება და ამის გამო ფასებიც აიწევს. არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს მამულები მეპატრონეთათვის დიდ შემოსავლიან წყაროდ გადაიქცევა. ყოველივე ეს ასე რომ არ იყოს, მხოლოდ იდეიური მოტივებით ძნელი იქმნებოდა ამ საქმის გარშემო ასეთი საქმიანობის გაჩაღება.

ჭიათურაში არსებულ გერმანელთა მამულების შეძენის სურვილი დაიბადა არა მარტო მოქალაქეთა წრეში. როგორც გადმოგვცეს, ამის შესახებ დასავლეთის თავად-აზნაურობას მაისის კრებებზე დადგენილებაც კი გამოუტანია და აღმოსავლეთის თავად-აზნაურთა წრეებშიაც ამგვარივე აზრი დაბადებულა, თუმცა ის ჯერ რაიმე კონკრეტიულ გადაწყვეტილებას არ დასდგომია. თუ თავად-აზნაურთა საკრებულოები ამ საქმეს ხელს მოჰკიდებენ, ჭიათურის მრეწველთა საბჭოს შესახებ კითხვაც კი არ უნდა იბადებოდეს. ეს დაწესებულება სათავეში უდგას ჭიათურის მრეწველობას. ეს ორგანო—შავი ქვის მრეწველთა თვითმმართველობის ორგანიზაციას წარმოადგენს. ის არა მარტო შემოსავლის მხრით დაინტერესდება ამ საქმით, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, ამ წარმოებათა მნიშვნელობით ჭიათურის მრეწველობისთვის. შავი ქვის მრეწველთათვის სულ ერთი არ არის ვის ჩაუვარდება ხელში ეს მამულები—შემთხვევით მოვლინებულ პირთ, რომელნიც ამ საქმეებს უყურებენ, როგორც ვიწრო სპეკულიაციის საშუალებას, თუ ისეთს დაწესებულებებს, რომელნიც მთელი თავისი ქონებრივი და სულიერი ინტერესებით ჭიათურის სამრეწველო რაიონთან არიან დაკავშირებულნი და მისი ბუნებრივი ზრდა-განვითარებით დაინტერესებულნი. ჭიათურის სამრეწველო თვითმმართველობის ორგანო, რასაკვირველია, მთელი თავისი ძალღონით ჩაებმება ამ საქმეში, და თუ მას გვერდში ამოუდგება თავად-აზნაურთა თვითმმართველობები, სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ საქმე სასურველად დაგვირგვინდება.

ამ დაწესებულებებისთვის საშიშროებას სრულიად არ წარმოადგენს ის მოვლენა, რომ მათ ხელში მილიონები არ მოეპოვებათ და მათ მოწინააღმდეგეებს კი, როგორც გადმოგვცეს, მილიონები ამ საქმისათვის უკვე ბანკში უწყვიათ. ამ ჟამად ამ მამულების მყიდველად გამოსულ პირთა თუ დაწესებულებებს ნაღდი ფული არ მოეთხოვებათ. ქონებრივი ნდობა კი ამ დაწესებულებებს დიდი ექმნებათ. ჭიათურის საბჭოს აქვს უძრავი ქონება და ერთ მილიონ ნახევარ მანათამდე წლიური შემოსავალი, რაც ყოველ წლობით იმატებს; თავად-აზნაურობას კი აქვს აგრეთვე უძრავი ქონება, ძირითადი თანხები საადგილ-მამულო ბანკებში, მთავრობიდან ასაღები დიდი თანხა და სხ. ყოველივე ეს საკმაოა იმისთვის, რომ ეს დაწესებულებანი კონკურენტად და ფრიად საიმედო ვაჭრადაც იქმნეს მიჩნეული გერმანელთა ქონების ლიკვიდაციის დროს, და უკეთუ მათ ეს მოახერხეს და მთავრობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა ამ მამულების ამ სამ დაწესებულებებზედ მიყიდვა, ამის შემდეგ ფულის შოვნა სულ ადვილი იქნება. გვეუბნებიან—რაღაც 300 ათასი მანეთის სესხს საბჭო დიდი ხანია დაეძებს და ვერ იშოვაო. ეს მაგალითი აქ მოსატანი არ არის. ათჯერ მეტს სესხს იშოვიდა საბჭო და სულ მოკლე ხანში, თუ ამ ფულების დანიშნულება მომგებიანი ქონების შეძენა იქმნებოდა და არა თვით დაწესებულებების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ე. ი. ნასესხებ თანხის უშემოსავლოდ დახარჯვა. თუნდაც ერთსა და იმავე პიროვნებას, სხვა და სხვა საგანზედ ბანკები სესხს ერთნაირად არ მისცემენ.

კიდევ არის ამ საქმეში ერთი მომენტი, რომელიც კიდევ უფრო ასუსტებს ფულის ძალას და უპირატესობას კერძოთ ამ შემთხვევაში, გერმანელთა მამულების ლიკვიდაციის საკითხში. ამ მამულების ლიკვიდაცია სახელმწიფოებრივი ინტერესებით არის გამოწვეული და არა ვიწრო ფისკალური ინტერესებით. მთავრობას განზრახვა აქვს გერმანელთა ძალა და გავლენა იმპერიაში შეასუსტოს. ამ შემთხვევაში ის ებრძვის გერმანელთა ქონებრივ ძლიერებას. ამისთვის ის ჩამოართმევს და ჰყიდის გერმანელთა წარმოებებს და უძრავ ქონებას. ამ მამულების ლიკვიდაციის დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მყიდველი თვით იყოს საიმედო, რომ გერმანელის ქონება, მთავრობიდან ჩამორთმეული და გაყიდული, ისევ გერმანელს არ ჩაუვარდეს ხელში. ეს მომენტი დიდს გარჩევას მოითხოვს მყიდველთა შორის. კონკურენტებად წარმოდგებიან, რასაკვირველია, რუსის ქვეშევრდომები, რომელნიც სააქციონერო საზოგადოებების დაარსებით საჭირო თანხას ადვილად შეკრებენ. მაგრამ ვინ არის თავმდები, რომ ეს აქციები მოკლე ხანში ისევ გერმანელებს არ ჩაუვარდებათ ხელში, ან ვაჭრობის დროსაც გერმანელების საკუთრებას არ შეადგენენ, და, მაშასადამე, გასასყიდათ დანიშნულ ქონების მყიდველი ისევე გერმანელები არ იქნებიან? ამ შემთხვევაში ყველაზედ უფრო საიმედო მყიდველები იქნებიან, რასაკვირველია, იმპერიაში მომქმედი სხვა და სხვა წრის ორგანიზაციები—საერობო, საქალაქო და თავად-აზნაურობის თვითმმართველობები. ეჭვი არ არის—ამას კარნახობს თვით ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს თვით სახელმწიფო ამ საკითხში, რომ კერძო პირთა თუ აქციონერულ საზოგადოებათა წინაშე უპირატესობა ყოველთვის ექმნება ეროვნული თვალთსაზრისით საიმედო დაწესებულებებს. როგორც ქალაქის თვითმართველობას მისცემენ უპირატესობას, თუ ის თავის სამოქმედო ფარგალში მდებარე გერმანელთა ქონების შეძენას მოინდომებს, ისე ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის თვითმართველობას მიაკუთვნებენ პირველ სიტყვას, თუ გერმანელთა წარმოებების შეძენას მოისურვებს. ასეთივე ნდობით შეჰხედავს მთავრობა თავად-აზნაურობის სურვილსაც. ამ შემთხვევებში მთავრობა სავსებით თავმდებული იქნება, რომ ეს გერმანელისთვის და რუსეთისთვის დიდათ მნიშვნელოვანი წარმოებანი გერმანელებს ხელში აღარ ჩაუვარდებათ.

ამ გვარად, ჭიათურის გერმანელ ქვეშევრდომთა წარმოებების ლიკვიდაციის დროს სახელმწიფოებრივი, ჩვენი ეროვნული და თვით შავი ქვის მრეწველობის ინტერესები სრულის თანხმობით მიაკუთნებენ უპირატესობას ჭიათურის საბჭოს და სააზნაურო საკრებულოებს. ამიტომ არის საიმედო ამ საქმის სასურველად დაგვირგვინება, თუ ეს დაწესებულებანი საქმეს ჯეროვანის გულის ყურით მოეკიდებიან და შესაფერს საქმიანობას გამოიჩენენ.

„სახალხო ფურცელი"-ს ერთი მეთაურის გამო

მწარე ფიქრები ამიშალა „სახ. ფურცლის" 26 თიბათვის მეთაურმა. წერილი შეეხებოდა გერმანელთა მამულის ლიკვიდაციას ჭიათურაში. არ მოვიხსენიებ იმ ზოგიერთ დასაძრახ ზნეს, რომელიც ქართული პრესის ორგანიულ თვისებად გადაიქცა და რომელიც ხსენებულ მეთაურში მოურიდებლად არიან გამოთქმული. ამის მხილება—წყლის ნაყვა იქნებოდა. ვიდრე გაუნათლებელი პირები და გულნამცეცა ადამიანები ჩვენ პრესას არ ჩამოეცლებიან ამ ლიტერატურულ უსიამოვნებას და დაქვეითებას, ბევრიც რომ ვეცადოთ, მაინც ვერ ავიცდენო. ასეთი საძრახი ზნენი უნდა შეუნდოთ, სხვა გზა არ დაგვრჩენია.

გემოვნება შეგვირყვნეს; ვაგლახ, რომ ამგვარი შენდობის გაცემაც გაგვიადვილდა!

„სახალხო"-ს მეთაურიდან მინდა აღვნიშნო მხოლოდ ერთი ადგილი, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, ქართველი კაცის ეროვნულ ფსიხიკაში უდარდელი გადაგვარების შხამს ჩააწვეთებს, თუ რომ იგი ადგილი მკითხველმა ანგარიშ მიუცემლად შეითვისა. ეს ადგილი უცხოდ და შეუწყნარებლად უნდა მოეჩვენოს თვით „სახალხო ფურცლისა" და მის „წინაპრები"-ს მკითხველებს. სავალალოა და თავში საცემი თუ რომ ეს „ადგილი" ახალი ორიენტაციის აღსანიშნელია „სახალხო ფურცელი"-ს ცხოვრებაში.

„სახალხო" და მისი მიმართულების წინანდელი გამოცემანი მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში ეროვნულ იდეას ესარჩლებოდენ და განამტკიცებდენ. ამ გამოცემებმა სწორედ ამიტომაც მოიხვეჭეს საზოგადოების თანაგრძნობა. თორემ ღმერთი, რჯული სოციალიზმის საზიარებლად მათთან არავინ შეივლიდა. დღეს-კი როდესაც ეროვნების დაცვა უფრო პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში გამოიხატება, ვიდრე თეორიულ დებულების დასაბუთებაში. „სახალხო ფურცელმა" თითქოს საჭე დაჰკარგაო.

კერძოდ ჭიათურის სალიკვიდაციო მამულის საკითხში 26 ივნისის მეთაურით ხსენებულმა გაზეთმა პირდაპირ თავი ისახელა. ყველას მოეხსენება, თუ რა დიდი ეკონომიური საკითხია ეს საკითხი. შესაძლებელია ქართველობამ უკან დაიბრუნოს ჭიათურის ერთ-ერთი უდიდესი წარმოება. რომელი ერთი ეროვნული საქმე შეედრება ამ საქმეს. და აი ასეთ საქმის შესახებ „სახალხო ფურცელი" სწერს: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს იმისა, რომ შავი ქვის მრეწველობის ის ნაწილი, რომელიც დღეს უცხოელებს უჭირავთ, ქართველებს დარჩეთო!" მორჩა და გათავდა! როგორ მოგწონს მკითხველო, ეროვნული მიმართულების გაზეთის მხრივ ასეთი სიტყვები! „საწინააღმდეგო არა გვაქვსო!" „სახალხო" ისე ლაპარაკობს, თითქო რუსეთის ოფიციალი ორგანო იყოს. ის ღა გვაკლია, რომ „სახალხო ფურც." ამის საწინააღმდეგო ჰქონდეს რამე!! „პირიქით, ეს სასურველიც არისო", განაგრძობს გაზეთი. ნუ თუ?! ეროვნული მიმართულების ორგანო ამით უნდა კმაყოფილდებოდეს?! თუ ჭიათურის საქმე დიდ ეროვნულ ეკონომიურ საქმედ მიგაჩნია, რატომ მისთვის თავი არ უნდა გამოიდვათ და მხურვალე კამპანია არ უნდა გასწიოთ. ხოლო თუ თქვენთვის ამას იმდენი მნიშვნელობაც არ აქვს, რომ ერთი ორი წერილი მიუძღვნათ, ესეც უნდა ვიცოდეთ. თუ „სახ. ფურცლის" მკითხველები იმასვე იტყვიან, რასაც წერილის ავტორი ამბობს, თუ ისინი ამ საქმეზედ ხელს აიღებენ და მას არ მიხედავენ, მაშინ აშკარაა თქვენ უარი გითქვამთ ეროვნული საქმის კეთებაზედ, ეროვნულ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებაზედ. მაგრამ ჩვენა გვგონია რომ „სახ. ფურცლის" მკითხველები ამ გზას დღემდე არ ადგნენ და ქვეყნისთვის დამღუპველად უნდა ჩაითვალოს „სახ. ფურცლის" ცდა ეს ახალი ფსიხოლოგია შეუქმნას და განუმტკიცოს თავის მკითხველებს. „სახალხო ფურცელსა" და მის მკითხველებ შორის კონფლიკტის საბაბი ჩნდება თვით გაზეთის ხელმძღვანელების მეოხებით. ამ შენიშვნით ჩვენ გვსურს ქართველი საზოგადოების გაფრთხილება და მერე თვით გაზეთისა, ხელი აიღოს ამ საწამლავის ჩაწვეთებაზე მის მკითხველების ფსიხიკაში.

ძველი ქართველი.

ჩვენი ეკონომისტები

ნ. ნიკოლაძე—გ. ზდანოვიჩის გარშემო ატეხილ კამათში საზოგადოების ყურადღება ჩვენ იმ საკითხებს მივაქციეთ, რომელიც ჭიათურის მრეწველობის ვითარებას ეხება. „სახალხო ფურცელს", როგორც სჩანს, ეს მრეწველობა იმდენად აინტერესებს, რამდენად ამას დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ პირის მოღვაწეობასთან.

ყოველივე მისი საბუთები, თუ მოსაზრებები პიროვნებების გარშემო ტრიალებს. ჭიათურის მოღვაწეებს უსაყვედურეს—თქვენ მოიყვანეთ და დაამკვიდრეთ ჭიათურაში უცხოელები, თქვენის მეოხებით გადავიდა უცხოელთა ხელში ეროვნული სიმდიდრეო. „სახალხოს" ეკონომისტები ჭიათურელ მოღვაწეებს ასე ამართლებს: ქ. ფოთი უცხო კაპიტალით არის დავალიანებული, ნავთსადგურის ასაშენებლად თვით ნიკოლაძეს ხაზინის და უცხო ძალების საშუალება აქვს გამოყენებული. წყალსადენისა და ტრამვაის გასაყვანად ქუთაისის ქალაქმა უცხო კაპიტალს მიმართაო და სხ.

ნუ თუ „სახალხო ფურცლის" ეკონომისტები ვერ არჩევენ რა უდიდესი

განსხვავებაა ქუთაისის და ფოთის დავალიანებასა და ჭიათურის მადნების დაკარგვის შორის? ფოთის ნავთსადგური და ქუთაისის მომავალი წყალსადენი ვალით რომ შენდება, ამით ნავთსადგური და წყალსადენი, უცხოელებს კი არ უვარდებათ ხელში, არამედ ქალაქების საკუთრებად რჩება. სულ სხვაა ჭიათურის მადნების ბედი. როდესაც მას უცხოელები ჩალის ფასად ყიდულობენ ანუ კონცესიური წესით იძენენ. აქ ქონების ბატონ-პატრონად სხვები ხდებიან და მისი შემოსავალიც მათ საკუთრებას შეადგენს, ჰკვიანი მწარმოებელი დიდის სიამოვნებით აიღებს ვალს რაიმე წარმოების შესაქმნელად, თუ ეს წარმოება მას 20 პროცენტს მოგებას მაინც მისცემს, და სესხი კი აღებული ექნება 6—7 პროცენტად. ასეთი ვალი იფარება თვითონ წარმოების შემოსავლით და ამის შემდეგ მთელი სიმდიდრე მწარმოებელს რჩება. სრული ჭეშმარიტებაა, რომ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა უცხო კაპიტალმა შეჰქმნა. მაგრამ რუსებს უცხოელებისგან სამრეწველო თანხის სესხის ნაცვლად ყოველი ფასეული ქონება მათთვის რომ მიეყიდნათ, დღეს მათ არც მრეწველობა ექნებოდათ და არც სხვა რაიმე ქონება. ერთია უცხო კაპიტალის მოპოება ეროვნული მრეწველობის შესაქმნელად და სულ სხვაა უცხოელებზე ეროვნული სიმდიდრის გაყიდვა, გადაცემა.

იქნებ არც კი იყოს სავსებით სამართლიანი საყვედური ჭიათურის საბჭოს შესახებ, რომ მან ხელი შეუწყო უცხოთა ხელში ჭიათურის სიმდიდრის გადასვლას. საბჭოს დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ ამის უარყოფით. წინაალმდეგის დამტკიცებით, მაგრამ ამის ნაცვლად „სახალხო ფურცლის“ ეკონომისტები თამამად დაასკვნიან—უცხოელებისგან ხომ სხვებიც იღებენ სესხსაო. დათვის სამსახურს რად უწევთ თქვენს მეგობარს ბ. ბ. სახალხოს ეკონომისტებო?...

მან.

პოლიტიკური პარტიები ფინეთში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 142)

რასაკვირველია, ფინომანების პარტიის მოღვაწეობას ბუნებრივად მოჰყვა **შვედომანების** პარტიის წარმოშობა, რომლის მიზანიც იყო არსებულ გაბატონებულ პირობების შენარჩუნება და ბრძოლა ფინომანების პარტიის წინაალმდეგ. 90-ან წლებამდე ეს 2 პარტია იყო ფინეთის ცხოვრების მაჯის ცემა, მაგრამ, როცა ამავე დროს რუსეთის მხრივ დაიწყო გამოლაშრება ფინეთის კონსტიტუციის წინაალმდეგ და ფინეთის სახელმწიფოს რუსეთის იმპერიის პროვინციად გადაქცევა მოელოდა, მაშინ პოლიტიკურ აზროვნებას ახალი ხანა დაუდგა და ფინომანების პარტიაში დაიწყო განხეთქილება, რასაც მოჰყვა პარტიების გაყოფა, რომელთაგანაც წარმოიშვენ ევგრედ წოდებულნი **ძველ ფინთა** და **ახალ ფინთა** პარტიები. ძველ ფინთა პარტია შესდგებოდა იმ ფინომანებისაგან, რომელნიც შვედებთან ბრძოლაში უკიდურესნი იყვნენ, ხოლო რუსეთის მთავრობასთან ზომიერნი, ახალგაზრდა ფინები კი, წინაალმდეგ მათისა, შვედებთან დათმობისა და ზომიერების მომხრენი იყვნენ, ხოლო რუსეთის მთავრობასთან უკიდურესნი; პირველნი რუსეთთან კეთილგანწყობილებით დ კომპრომისებით ლამობდენ შვედების გავლენის შემცირებას, ხოლო მეორენი შვედების დახმარებით რუსეთის მთავრობის გავლენის წინაალმდეგ მოქმედებას; პირველთ შვედები მიაჩნდათ უფრო საშიშრად, ხოლო მეორეთ—რუსეთის მთავრობის გავლენა. რომელი იყო მართალი? ეს მომავალს უნდა გადაეწყვიტა და დაენახვებინა მათი აზროვნების სიმართლე და სიბრუნდე.. განვლო საკმაო დრომ, როცა დადგა **ბობრიკოვ-პლევეს ხანა**, რომელთა დროსაც ფინეთის **სენატის** წევრთა დიდ უმეტესობას შეადგენდნენ ძველი ფინების წარმომადგენელნი, რომელთაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე და კომპრომისებით ეროვნული საქმე დროებით წაახდინეს. ამ დროიდან ძველი ფინების პარტიამ თან და თან დაჰკარგა სახელი და გავლენა ახალგაზრდა ფინთა და სხვათა პარტიათა სასარგებლოდ, რომელნიც უკვე კარგა ხნით არსებობდენ.

ასეთია ისტორიული წარსული ახალგაზრდა და ძველ ფინთა პარტიების წარმოშობისა, მაგრამ, რასაკვირველია, ამით არ დამთავრებულა მათი იდეების ცვალებადობა. განვლილმა დრომ ბევრი რამ ასწავლა მათ. თუ რამდენიმე წლის წინად ამ ორი პარტიის წარმომადგენელნი გაჟღენთილნი იყვნენ ერთი-მეორისადმი უნდობლობით და ზიზღით, დღეს იგინი დაახლოვდენ და ძმურად ხელი გაუწოდეს ერთი-მეორეს. მათი საბოლაო მიზანი ერთი და იგივე არის, მხოლოდ გზით და საშუალებით განსხვავდებიან. ამათან ერთად, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო დროს ახალგაზრდა ფინებმა უკიდურესი პოზიცია დაიჭირეს, როგორც რუსთა, ისე შვედთა გავლენის წინაალმდეგ. ახალგაზრდა ფინები, ძველ ფინთა წინაალმდეგ, უფრო რადიკალებიც არიან მრავალ პოლიტიკურ და აგრარულ საკითხებში... მოკლედ რო მოვსჭრათ, ასე შეიძლება ამ ორ დიდ და ეროვნულ პარტიის დახასიათება, რომელთა წინაალმდეგ შვედომანების პარტია ძველ ნიადაგზე დგას და მტკიცეთ განაგრძობს დიდი ხნით დაპყრობილ პოზიციების შენარჩუნებას. ისტორიულად რომ გავშინჯოთ, დასახელებულ სამ პარტიას მოჰყვება დანარჩენები, რომელთაგანაც ღირსშესანიშნავია: **სოც.-დემოკრატების, აგრარიების და მორწმუნე მუშათა პარტიები.**

უკანასკნელი 2 პარტია გაცილებით უფრო სუსტია დანარჩენებთან შედარებით და წარმოადგენენ კონსერვატიულ ნაწილს ფინეთის სეიმში. კერძოდ აგრარიები პირდაპირი დამცველნი არიან მსხვილ მემამულეთა ინტერესებისა; მათი მიზანი და დანიშნულება მეტად მარტივი და ცხადია და, ამიტომ ბევრს აღარ გავაგრძელებ, მით უმეტეს, რომ, როგორც აგრარიების, ისე მორწმუნე მუშათა პარტიები, წმინდა ეროვნულ თვალსაზრისით, ძალიან ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენენ. დაბოლოს მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო სოც.-დემოკრატებზე, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა აქვსთ მუშათა და გლეხთა შორის და სეიმშიაც დეპუტატთა რიცხვით ცალ-ცალკე აღებულს ყველა პარტიებს სჭარბობენ.

მართალია, სოც.-დემოკრატების სოფლმხედველობა და სამოქმედო ასპარეზი ყველასათვის ნაცნობია, ვინაიდან მათი წარმომშობი მიზეზები საერთაშორისო მოძღვრებაზე და განსაზღვრულ თეორიაზეა დამყარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყურადღებას მოკლებულნი არ უნდა იყვნენ, ვინაიდან იგინი ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივენი მაინც არ არიან.

ფინეთის მარქსისტების წარმოშობა დაიწყო ოთხმოცდაათიან წლებში და უკანასკნელ საუკუნის დასაწყისში უკვე დიდ ძალას წარმოადგენენ. 1907 წელს, როდესაც ფინეთის საპარლამენტო ცხოვრებაში დიდი პროგრესიული ცვლილება მოხდა *), მარქსისტები თითქოს უეცრად გამრავლდნენ, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობდა მოიჯარადრე გლეხთა, ე. ი. „**ტორპახთა**“ მიმხრობაც. ფინეთის სოც.-დემოკრატების გამოსვლა, წინაალმდეგ ჩვენი სოც.-დემოკრატებისა, თავიდანვე მტკიცე ეროვნულ ხასიათისა იყო, მათ შეგნებულად და გონებრივად შეხედეს ერის ბედს და ცალმხრივობას მათში ის ფართო ასპარეზი არ ჰქონია, რაც საქართველოში მომქმედ სოც.-დემოკრატებს; რასაკვირველია, სოც.-დემოკრატებში ჰქონდა და ეხლაც აქვს ადგილი. მათ მოქმედებას ფინეთის ცხოვრებაში დიდი ეროვნული ღირებულება ჰქონდა, წინაალმდეგ ჩვენებურ მარქსისტებისა, რომელთაც ისედაც დაჩაგრულ და დამახინჯებულ ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას ანტი-ეროვნული ქადაგებით და მოქმედებით ლამის ნიადაგი გამოაცალეს არსებობისა! მათ ჩვენს ცხოვრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ეროვნულ თვითშეგნების ჩახრჩობაში და მრავალი ეკლის გვირგვინიც მიუძღვნეს ბევრ ქართველ მამულიშვილთ!.. მართალია, ეს სიმახინჯე დღესაც ძლიერია ჩვენში, მაგრამ ჩვენი ერი იმდენად ძლიერია ორგანიულად, რომ ამასაც გადაიტანს, რის უტყუარი და სანუგეშო ფაქტებს ვხედავთ დღევანდელ საერთაშორისო ქარიშხალის დროსაც... განა რომელ მამულიშვილს არ მოუკვდება გული, როცა სხვა ერთა სოციალდემოკრატებს გაიცნობს?!... განა ჩვენ არ ვიცით როგორნიც არიან ევროპის სოციალდემოკრატები?! მაგრამ ფინელ მარქსისტთა მოქმედება ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს ჩვენებურ მარქსისტების სიმახინჯეს და გადაგვარებას!.. ასეთ განსხვავებას ჩვენებურ და უცხო მარქსისტთა შორის მიზეზად უეჭველია ქართველ ერის სისუსტე ჰქონდა, რადგან მან ის სახე და განსაზღვრული ასპარეზი ვერ მიანიჭა, რასაც მრავალ კულტუროსან და ეროვნულად მძლავრს სახელმწიფოში და კერძოდ ფინეთში ვხედავთ... ფინეთის ერი უფრო მტკიცე აღმოჩნდა ეროვნულ თვითშეგნებით და მარქსისტებსაც შესაფერისი ადგილი მიუძღვნა. ფინელ მარქსისტების მოქმედება იყო პროგრესიული და საზოგადოდ უაღრესად დემოკრატიული, რისთვისაც მათ გაძლიერებას ერისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია. თუ მკითხველი გაცნობილია იმ დიად და ფინეთისთვის უაღრესად სასარგებლო მოქმედებასთან, რომელსაც სეიმი ეწეოდა ეროვნულ თვითდაცვის საქმეში, მისთვის ნათელი იქნება ფინელ მარქსისტთა დადებითი ეროვნული მოღვაწეობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სეიმის წმინდა ეროვნულ საქმიანობაში მარქსისტებს პირველობა არ ეკუთვნით, რადგან ისინი პასიურად იქცეოდენ და მხოლოდ მიჰყვებოდენ ძველ ფინთა და ახალგაზრდა ფინთა პარტიებს. ამის მიუხედავად, მათი მოქმედება ეროვნულ ღირებულებისა იყო და არის. ფინელ მარქსისტებზე კიდევ ბევრი რამ ითქმის კარგი, მაგრამ ნათქვამიც საკმაოა შესადარებლად და წარმოსადგენად. მეტი რო აღარ გავაგრძელო, ასეთია მოკლე ისტორია და მთავარი თვისებები ზემოდ დასახელებულ ექვს პარტიისა, რომელიც მოქმედებენ ფინეთის დიდს სამთავროში და რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას ახლო მომავალში სეიმის დეპუტატთა არჩევნებში. არჩევნებისა და ახალ სეიმის შემადგენლობის შესახებ შემდეგ წერილში მოვახსენებ პატივცემულ ქართველ მკითხველთ.

დ. ჩიქოვანი.

ჰელსინკი, 27/14 თიბათვე.

---

*) ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანია და ამიტომ სხვა წერილებში გვექნება ამაზე საუბარი ავტ.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

თანდათან უკვე ირკვევა, რომ რუსეთის ჯარმა მთელ ბრძოლის ველზე დაიწყო შეტევა. ბრუსილოვის არმიას გამოეხმაურა კალედინი. მას მხარი დაუჭირა ევერტმა და ახლა თითქოს გენ. კუროპატკინმაც დაიწყო მოქმედება. როგორც სატახტო გაზეთები გვატყობინებენ, უკანასკნელს ინიციატივაც კი უგდია ხელში და ყოველთვის დარაჯად უდგა მტერს, მოსვენებას არ აძლევს და სცდილობს ისე ჩააბას ბრძოლაში, რომ შეძლება მოუსპოს ამ ბრძოლის ხაზიდან ჯარის გადაყვანისა. ჩვენ გუშინაც გამოვსთქვით ჩვენი აზრი რიგა-დვინის ხაზის შესახებ და ვამბობდით, რუსეთის ჯარი, სახელდობრივ გენ. კუროპატკინის არმია უსათუოდ შეტევას დაიწყებს, რომ ბარანოვიჩთან მომქმედ გერმანეთის ჯარს მდგომარეობა გაუჭიროსო.

ჩვენსავე აზრს ადასტურებს გუშინდელი ოფიციალი დეპეშა. აქ გერმანელებს განუზრახავთ შეტევა და რამოდენიმე იერიშიც კი მოუტანიათ, ალბად ეს გამოიწვია რუსეთის ჯარის მოქმედებამ. ბარანოვიჩთან ბრძოლა გრძელდება. სამაგიეროდ კალედინმა უფრო გააფართოვა მოქმედება; მას გადაულახავს მდინარე სტოხოდი და შეუჩერებლად წინ მიიწევს.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსები ჩვეულებრივ იმარჯვებენ.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 27 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. პოლესიის სამხრეთით ჩვენი ჯარი უკან ახევინებს მტერს და ბრძოლით ზოგ ადგილას მდ. სტოხოდზე გადადის. უკან დახევის დროს მტერმა გადასასვლელი ადგილები ააფეთქა. სოფ. სვიდნიკთან და ნოვ. მოსორთან სტოხოდის მარცხენა ნაპირზე მკაცრი ბრძოლაა. აქ გერმანელები დავატყვევეთ. კისელინოს და ზუბალინოს შუა მტერს მოულოდნელად თავს დავესხით და განვდევნეთ. გენ. კალედინის ჯარმა 21—25 თიბ. ხელთ იგდო 341 აფიცერი, 9,145 ჯარის კაცი, 10 ზარბაზანი, 48 ტყვიისმფრქვეველი, 16 ნაღმისა და ყუმბარის მფრქვეველი, 7,930 თოფი, 3 პროექტორი და სხვა დავლა. ამას ისიც უნდა მიუმატოთ რომელიც 25 თიბათ. შტაბმა გვამცნო, ე. ი. 300 აფიცერი, 12,000 ჯარის კაცი, 47 ზარბაზანი და სხვა. გალიციის ასპარეზზე საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით დნესტრის ორთავ ნაპირებზე. დვინსკის სიმაგრეებთან სვენტენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა შეუტია მაგრამ უკუგდებულ იქმნა. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით სოფ. ოდოხოვშჩინის მიდამოებში, გერმანელები კონტრ-იერიშით წამოვიდნენ, რომელიც ზარბაზნის და თოფის სროლით მოვიგერიეთ. ორთავე [illegible] მხარის მფრინავები მოქმედებდნენ. შუბენის არხის მიდამოებში [illegible] მტრის მფრინავი ჩამოვაგდეთ, მფრინავი და ტეხნიკი დავატყვევეთ.

10 მტრის მფრინავი მოლოდეჩნოს თავს დაესხა და 40 ყუმბარამდე ჩამოაგდეს. თივას ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა.

ბალტიის ზღვა. ჩვენმა წყალქვეშამ, რომელიც ბატნიის ყურეში იმყოფებოდა, გერმანეთის გემი რკინეულობით დატვირთული ჩასძირა.

კავკასიის ასპარეზი. პლატანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. გიუმიშხანის მიმართულებით ჩვენი მზვერავები ოსმალთა სიმაგრეებში შეიჭრნენ და მრავალი ოსმალნი ხიშტებზე ააგეს. პონტიის ტავრის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა შეუტია და სიმაღლეები ხელთ იგდო, რომლებიც დიდი ხანია მათ გაამაგრეს. ადგილ-ადგილ ოსმალები გარბოდნენ. გენ. კრუტენის ჯარმა წაიწია, ტყვეები და დავლა იგდო ხელთ.

პეტროგრადი, 27 თიბათვე. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** სტოხოდის მარცხენა ნაპირზე მტერი ბრძოლით ცდილობს შეჩერდეს. მტერი ცდილობს ჩვენი წინსვლა შეაჩეროს. სოფ. ივანოვკის მიდამოებში, კაშოვკის ჩრდილოეთით მტრის მფრინავებმა 70 ყუმბარა ჩამოყარეს. სანიტარის ურმებთან, ორი სათნოების და და ერთი რწმუნებული დაიჭრა. ვოლინი—გალიციის ასპარეზით საარტილერიო ბრძოლაა. მტრის მძიმე ზარბაზანი გლიადკი-ცებროვის მიდამოებს უშენდა.

—

პარიზი, 26 თიბათვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით შესანიშნავი რამე არ მომხდარა. სომის სამხრეთით მთელი დღის განმავლობაში ფლოკუსის აღმოსავლეთით ვუტევდით 3½ ვერსის მანძილზე, ნაპირიდან ბელუასან-ტერის ჩრდილოეთამდე. ჩვენმა ჯარმა მტრის ადგილები დაიპყრო. დავიჭირეთ სოფ. ბარლე. აქ 300 კაცი დავატყვევეთ. მაასის ორთავ ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი, 27 თიბათვე. ოფიციალი. სომის სამხრეთით მთელი ღამის განმავლობაში ფრანგებმა სოფ. ბარლესა და მეზონტეტის შუა მტრის თხრილები დაიჭირა. აქ დავატყვევეთ 950 კაცი. შამპანში ორჯელ ჩვენ სასარგებლოდ შეუტიეთ. მენილის მაღლობის დასავლეთით გერმანელთა თხრილები დავიჭირეთ და გავმაგრდით ვერდენის ჩრდილოეთით. ბრძოლა შატანკური, ფლერი და ლალოფეს შუა გრძელდება. ვოგეზებში გერმანელების გაძლიერებულმა რაზმებმა 5 ადგილას მკაცრად შეუტიეს.

ლონდონი, 26 თიბათვე. ოფიციალი. დღევანდელი ბრძოლა ჩვენ მარჯვენა ფრთაზე გრძელდებოდა. სადაც ბერნაფეს ტყის აღმოსავლეთით გავიმარჯვეთ. საარტილერიო მკაცრი სრო-

თეიმურაზ ბატონიშვილი *)

1766 წელს მაისის დამდეგს ახალგაზდა (20 წ.) ბატონიშვილი გიორგი, კახთა უფლისწული, გაემგზავრა კახეთისაკენ და ამაღლების წინადღეს ს. ვეჯინში ქიზიყის მოურავს პაპუა ანდრონიკაშვილს ეწვია.

წინა დღეს ალაზანზედ ლეკის დიდი თარეში ჩამოსულიყო და მწყემსი ხალხი საქონლიანათ დაერბივნა და საქონლიანათ წაესხათ. გაგების უმალ ვეჯინ-გურჯაანში მდევარი შეყრილიყო და პაპუას ძის რევაზის მეთაურობით ორასამდე ცხენოსანი შეიარაღებული თავად-აზნაური და გლეხი დასდევნებოდნენ თარეშსა. მამლის ყივილისას მდევარი ალაზანში გავიდა ანწლიანის ფონზედ, კვალი მოიკვლიეს და ფიჩხის ბოგირისაკენ გაემართნენ კაბალზედ. აქ მდევარი წამოსწვდა თარეშსა. რევაზმა დილითვე შუაზედ გაჰყო დარაზმული მდევარი და ნახევრით თითონ წინ უყელა და მოხერბულ გზზედ ჩაუსაფრდა; მეორე ნახევარი კი ფეხ და ფეხ მოსდევდა მდევარსა. როდესაც მანძილზედ თარეში მოახლოვდა, ჩასაფრებულებმა დაახალეს თოფი და ხმალ და ხმალ გადაევრინენ. ზურგიდანაც იგრიალა თოფმა და შეიქნა ერთი ალიაქოთი და ყიჟინა. შენი მტერი, რომ ლეკებს ელდა ეცათ და გულგახეთქილები აქეთ-იქით ეცნენ. უფრო ბევრი გაწყვიტეს და სამოციოდე ხელებგაკრული ლეკი წინ გამოირეკეს. ერთმა დაჭრილმა ლეკმა გამობრუნებისას რევაზს დამბაჩა დასცა და მუხლში დაჰკრა. სალამოს ჟამმა მოატანა, რომ მდევარი გამხიარულებული ვეჯინში მოვიდა, აქ ყველა მხრითგან სიმღერა და ლხინი მოისმოდა 1). ამ ამბავსა პლატონ იოსელიანი ასე მოგვითხრობს: მეფის ძე გიორგი მოვიდა კახეთსა და ეწვია სოფ. ვეჯინსა ანდრონიკაშვილს რევაზსა. მაშინ მოხდა დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა გაღმა. რევაზ და სხვანი თანადამსწრენი ომისა ლეკებთა თანა ესრეთ მხნეთ გამოჩნდნენ, რომელ მეფის ძე თვით, მუნ დამსწრე გაჰკვირდა, ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკაშვილი, მუხლსა მძიმეთ დაჭრილი. მოვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თვისი. განკვირებულმან მეფის ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი დისა მისისა ქეთევანისა შერთვა ცოლათ“. 2)

ოთხი თვის შემდეგ 20 სექტემბერს ბატონიშვილმა გიორგიმ ქეთევანზედ ჯვარი დაიწერა დიდის ზეიმით.

ქეთევანი სახელოვანი ქალი იყო, როგორიც ანდრონიკაანთ დიდს ოჯახს ეკადრებოდა. 1778 წ., ოკტომბერს სეტის-ცხოველის დღესასწაულითგან მეფის სძალს ქეთევანს ეწვია მუხრანში ვახტანგის ქვრივი. ორი კვირის შემდეგ მუხრანითგან მომავალს ქეთევანს სამასიოდე **მორიგე** ჯარისკაცი ახლდა თან. ფონთხელასა და ღართისკარს შუა ვიწროებში ხუთასი ლეკის თარეში წინ გადაეღობა და გზა შეუკრა. რაკი ბრძოლაში გამოცდილი კაცი არავინ ახლდა თან, ქეთევანი თვით მიუძღვოდა თავის ჯარს ლეკზედ და ისე სასტიკათ დაამარცხა, რომ მეოთხედიც ვერ გადარჩა. ამ შემთხვევასა „ქართლის ცხოვრება“ ასე მოგვითხრობს: „...ჟამსა ამას (1778 წ. ღვინობისთვეში) ქართლით მომავალსა ქიზიყის მოურავის ასულს, მეფის სძალსა ქეთევანსა, მეუღლესა პირმშოსა მეფის ძის გიორგისასა—დაუხვდნენ ლეკნი ღართის კარს, ვიდრე ხუთასამდე და მეფის სძალსა ქეთევანს არა ჰყვა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი, მორიგეთ წოდებულნი, რომელნიცა თანაგამყოლათ ახლდნენ მას და არცა ვინ ჰყვა თვისთანა მეცნიერი ბრძოლისა. მაშინ თვით იქმნა თავმხედრობისა თვისისა და განამხნო მორიგენი, ეწყო და იძლივნენ ლეკნი და გასწყვიტნეს მორიგეთა მათ უმრავლესნი ლეკთანი. ხოლო ჰსცნა რა მეფემან ირაკლი ესე ვითარი სიმხნე სძლისა თვისისა, მხიარულ ქმნილმან შეიყვანა ტფილისს დიდებითა თვისითა და ზარბაზნისა სროლითა და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი“ 3). ერეკლე მეფე საბურთალოზედ მიეგება და ცალ მუხლმოდრეკილმა წელზე ოქროს ხმალი შემოარტყა გმირს ქეთევანს 4).

2 ივნისს 1782 წ. ახალგაზდა ქეთევანი თეიმურაზის მშობიარობაზედ გარდაიცვალა, შობითგან 28 წლისა, და დაასაფლავეს დავით გარეჯელის უდაბნოში, დიდის იოანე ღვთის, მეტყველის ტაძარში.

ქეთევანის მიცვალება რომ ერეკლეს გაუმჟღავნეს, შემოიკრა თავში ღ შეჰღრიალა—„ჩემი ოჯახი ახლა დაიღუპაო“ 5). ერეკლემ წმინდათ შეასრულა ქეთევანის ანდერძი: რაც რამ მზითევში მოყოლილი ოქრო-ვერცხლეული ნივთეულება დარჩა, ყველაფერი მონასტრებს გაუყო და იერუსალიმის პატრიარქს გაუგზავნეს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. პატარა ახალ დაბადებულ ყრმას ერეკლემ თავის მამის სახელი თეიმურაზი უწოდა და სიკვდილამდე სათუთად ზრდიდა და გვერდითგან არ იშორებდა, ყველა ბატონიშვილებში გამორჩევით უყვარდა და ლალა-აღმზრდელათ თვისი კარის მწიგნობრათ უხუცესი ყარიბი პეტრე ლარაძე მიუჩინა, ფრანგებისეული ხარების დეკანოზის გიორგის ძე.

მწერალ-მწიგნობართ პეტრემ თავის აღზრდილს ბატონიშვილს ადრე შთაუნერგა ტრფიალება მწიგნობრობისა და ამ მხრივ თეიმურაზი უებრო იყო სამეფო ოჯახში. ახალ ჯვარდაწერილმა, 18 წლის თეიმურაზმა მღვდელმონაზონს გრიგოლს (ონანაშვილს-ვაჩნაძეს) აღაწერინა წმიდათა ცხოვრება —წარწერით: „ყოველთა ამათ წმიდათა მადლი, მეოხება და ლოცვა შემწე ეყავნ, მცველ და მფარველ სულით და ხორცით „კეთილმსახურსა მეფის ძეს თეიმურაზს და კეთილმორწმუნეს მეფის სძალს ელენეს, რომელთა ღვთისმოყვარებისათვის აღიწერა წიგნი ესე, ხოლო მორჩილებით მშრომელი მოხსენებისა მქენე ვარ ყოვლად უღირსი იერომონახი გრიგოლ 1800 წელსა, აგვისტოს 27“ 6).

დავით ბატონიშვილი დანიშნეს ქართლის სარდლის ოთარ ამილახვრის ქალს ელენეზედ. მალე რუსეთში წავიდა, იქ გაიცნო ვიღაც ტატიშჩევის ქალი და მისი შერთვა მოინდომა. მაგრამ სამშობლოში რომ მოვიდა, ანგარებამ წასძლია და დავითმა აზრი გამოიცვალა და ახლა სომხის სიმონაღა აბამელიქის ქალი ელენე დანიშნა, რაკი რვაასი თუმანი ნაღდი ჰქონდა და და ამაზედ კიდევ მეტი მზითევი. ამის გამო ჩამოვარდა დიდი მძულვარება ჯერ სამეფო ოჯახსა და ამილახვარს შორის და შემდეგ თვით სამეფო სახლში. მერე თუმცა ბევრი ინანა გიორგი მეფემ და თითონ დავით ბატონიშვილმა, მაგრამ გვიანღა იყო; ესრეთის შეცდომის როგორმე გასასწორებლად ამილახვრის ოთარის ქალს ელენეზედ ახალგაზდა თეიმურაზი დანიშნეს. ამიტომ თეიმურაზი ჩამოვიდა შუაში და, როგორც იყო, ოთარი და დავითი შეარიგა. მაგრამ გიორგი მეფე რომ მიიცვალა 27 დეკემბერს 1800 წელს, სამეფოთ გამზადებულმა დავით ბატონიშვილმა წინდაუხედაობით ოთარ ამილახვარი დააპატიმრა იულონის მომხრეობისათვის 7) და სამი თვე თბილისში ტუსაღათ ჰყავნდა. მიზეზი ეს იყო, რომ თეიმურაზმა 25 თებერვალს 1803 წ. დაჰკრა ფეხი და ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიპარა. 8) ორი კვირის შემდეგ თბილისიდგან გამოსვლისა, თეიმურაზი ალექსანდრესთან ერთად დაესწრო ბელაქნელების ბრძოლასა რუსებთან. 9—13 მარტს 1803 წ. ამ ბრძოლაში თეიმურაზს ცხენი გაექცა და ის იყო რუსებს ტყვეთ უნდა ჩავარდნოდათ ხელში, რომ ჯორჯაძემ წოწრევან ნოდარიშვილმა თავის ცხენი მიართვა და გაქცევა მოასწრო. აქეთგან ალექსანდრე და თეიმურაზი მრავალის მხლებლებით—თავად-აზნაურობით და გლეხებით, ყარაბაღში ჩავიდნენ, მერე თავრიზზედ თეირანში, სადაც ყეენმა ბაბახანმა ფრიადი პატივი სცა და შეწევნა აღუთქვა. სამეფო კარზედ მისანდო კაცათ მიიჩნიეს, მეტადრე ტახტის მემკვიდრემ აბას-მირზამ. რამდენიმე ხნის შემდეგ თეიმურაზს ჩააბარეს თოფჩიბაშობა, და იმ დღითგან თეიმურაზი ასწავლიდა სპარსთა ჯარებსა თოფის ხმარებასა და სროლასა, აგრეთვე მეზარბაზნეებს სწვრთნიდა და რუსებთან საომრად ამზადებდა. ამის შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილი მუდამ ალექსანდრესთან იყო ერთად სპარსთა ბანაკში და ბედის ცდას გულდამშვიდებით შეჰყურებდნენ.

(შემდეგი იქნება)

---

*) წაკითხულია ისტორ.-ეთნოგრაფ. კრებაზედ 6 მარტს 1916 წ.

1) პაპუას ქალი ქეთევანი მიეგება დაჭრილს ძმასა და გადაჰკოცნა. გამოარბენინა მერდინები და ცხელ ერბოში მოშუშული ბამბით მარდათ შეუხვია ჭრილობა. (ნაამბობი ს. გურჯაანში მოხუცის ზაქარია აბელის ძე ანდრონიკაშვილისა 1881 წ.)

2) იხ. ცხ. მეფე გიორგისა, გვ. 10.

3) იხ. ქ.—ცხ. II, 509 გვ.

4) ნაამბობი მისივე, ზ. ანდრონიკაშვილისა.

5) 5—6 თებერვალს 1782 წ. ხომ სოფ. ვეჯინში აბაშიძიანთ საყარაულო კოშკში მოჰკლეს სახელოვანი ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს ძე.

6) იხ. საეკლ. მუზეუმში ხელნაწ. № 878.

7) იულონის მეუღლე სალომე ოთარ ამილახვრის და იყო.

8) თან გაჰყვნენ, სხვათა შორის—ივანე რაზმაძე, ქაიხოსრო თეთრაძე, რამდენიმე თავად-აზნაური და გლეხი.

თეიმურაზის მეუღლე ელენე კი მამასთან დარჩა გორში. ამ დროს ელენემ შესწირა მცხეთაში სვეტის-ცხოველს ვერცხლის 197 მისხ. სასანთლე წარწერით: ქ. სძალი მეფისა ელენა ვედრვარ სვეტსა ცხოველსა, თვით თეიმურაზ მეფის ძე განერიოს ვნებას ყოველსა“. იხ. **Мцхетъ**, ნატროშვილისა, გვ. 424.

ლის შემდეგ ჩვენ მტრის თხრილებზე მივიტანეთ იერიში დეტრონის ტყესთან და დავიპყარით. მტერმა კონტრიერიშები მოიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ.

რომი, 27 თიბათვე. ოფიციალი. ასტიკოსთან მალინო და ფორნის ხაზით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ჩრდილოეთ მიდამოებში იერიში მივიტანეთ და ოგული დავიჭირეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი.

ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. ბრძოლა 21 ვერსის მანძილზე ხდება. ბარანოვიჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ადგილიდან ოთხი რკინის გზის შტო მიდის: ლიდა-ვილნოსი, ბრესტ-ლიტოვსკისა, სლომინ-ვოლკოვისკისა და როვნოსი.

როგორცა სჩანს, ეს ადგილი გერმანელებს ძლიერ აქვთ გამაგრებული. ამ ადგილას მათ 4—5 წყებაზე აქვთ სიმაგრეები; ამათში რუსის ჯარმა ორი ხაზი უკვე გაარღვია. ამ ადგილებში რუსებმა ზარბაზნები და ტყვეები იგდეს ხელთ, რაც იმის გამომხატველია, რომ რუსების შეტევას აქ სწრაფი ხასიათი ჰქონია.

სტირსა და სტოხოდს შუა ბრძოლამ რთული ხასიათი მიიღო. გენ. ბრუსილოვის მარჯვენა ფრთაზე ბრძოლის ინიციატივა ხან ერთ მხარეზე იხრებოდა, ხან მეორეზე.

კავკასიის ასპარეზი.

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა რუსებს შეუტიეს, ბრძოლამ რთული ხასიათი მიიღო. ოფიციალი ცნობა იხსენიებდა, რომ სპარსეთში ბრძოლა ქერმანშაჰხთანაა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ოსმალებმა დახმარება მიიღეს ევროპიდან, ოსმალებმა რუსების მოწინავე რაზმები კერინდიდან 40 ვერსით კერმანშაჰიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით უკუ აგდეს.

სალონიკი.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ბერლინში დარწმუნებულნი არიან, რომ მოკავშირეთა ჯარი ამ მოკლე ხანში ამოქმედდება და აქაც შეუტევენ.

საბერძნეთი.

ათინაში ახალი სამხედრო საზოგადოება არსდება, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გერმანოფილთა პოლიტიკის განმტკიცება. ამ საზოგადოების მომწყობი და სულის ჩამდგმელი გენ. მაკირაა. მათ განზრახული არა აქვთ ვენიზელოსის წინააღმდეგ იმოქმედონ; მათ პირველყოვლისა უახლოვეს მიზნათ მოკავშირეთა წინააღმდეგ მოქმედება დაუსახავთ.

ბიულოვის ახალი წიგნი.

ბიულოვს ახალი წიგნი დაუწერია: „გერმანეთი იმპერატორ ვილჰელმის დროს“. იგი თავშივე თანამედროვე ომის მიზეზებს ეხება. ბიულოვი დარწმუნებით ამტკიცებს, რომ მოკავშირეთა სიძულვილი გერმანეთისადმი ომის გათავების შემდეგ დიდხანს დარჩება, ამისათვის საჭიროა გერმანეთის სამხედრო ძალის გაძლიერება. ბოლოს ბიულოვი მომხრეა, რომ გერმანეთმა ახლო კავშირი დაიჭიროს ნეიტრალ სახელმწიფოებთან, მიუხედავათ იმისა, თუ ესენი ეხლა ვის თანაუგრძნობენ.

დუნაის გამაგრება.

რუმინეთის ნავთსადგურ დუჩის უმფროსი აცხადებს, რომ რუმინეთის დუნაი 3 ვერსის მანძილზე დანაღმულია. გარდა ამისა ჩერნოვოდის ხიდის ქვეშ ღამე ცურაობა აკრძალულია.

ავსტრია-რუმინეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

„დიმინიაცის“ სიტყვით, ამ დღეებში ავსტრია-რუმინეთის სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ხელშეკრულება პირველ თიბათვიდან შედის ძალაში.

საუბარი გენ. სარაილთან.

გაზ. „უნივერსული“ ჰბეჭდავს გამოჩენილ დიპლომატის საუბარს, რომელიც სალონიკიდან დაბრუნდა, გენერალ სარაილთან. ამ საუბრიდან ნათლად სჩანს, რომ მოკავშირეთ გადაწყვეტილი აქვთ ახლო მომავალში მაკედონიის ასპარეზზე გენერალური შეტევა დაიწყონ. საუბრის ბოლოს გენ. სარაილმა იმედი გამოსთქვა, რომ მალე სოფიაში იქნება.

რუმინეთის ნეიტრალიტეტი.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გაზ. „პოლიტიკ.“ ირწმუნება: მოკავშირეთა ელჩებმა შეატყობინეს ბრატიანუს კაბინეტს, რომ პარიზის ეკონომიურ ყრილობის დადგენილებით, რუმინეთს ეკრძალება რამე მოსავლის გადაგზავნა გერმანეთში, უკიდურეს შემთხვევაში, ამ გვარი საქციელი ეჭვს გამოიწვევს მოკავშირეთა შორის.

ინგლის-საფრანგეთის შეტევა.

ინგლის-საფრანგეთის შეტევის შედეგები ნელ-ნელა ირკვევა. გერმანელების ბრძოლის პირველი ხაზი უკვე გარღვეულია და 7 ვერსის მანძილზე მათი სიმაგრეები განადგურებულია. ინგლისელები მოპირდაპირის ასპარეზზე 3 ვერსით შეიჭრნენ. ინგლისის და საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ ადგილას ბრძოლა მკაცრ ხასიათს მიიღებს, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდება.

გერმანეთის ულტიმატუმი შვეიცარიისადმი.

რომიდან იტყობინებიან: დღეს თავდება გერმანეთის ეკონომიურ ულტიმატუმის ვადა. გერმანეთმა შესწყვიტა ქვანახშირის გატანა შვეიცარიაში. ამ გვარი დადგენილება გერმანეთის მთავრობისა მხოლოდ იმით კი არ აიხსნება, რომ მას უნდა სურსათი შეიძინოს შვეიცარიის წყალობით, არამედ იმითაც, რომ აზრად აქვს ეკონომიურის მხრივ შვეიცარია დაუქვემდებაროს გერმანეთს და შვეიცარიის ქარხნები, რომლებიც მოკავშირეთა სახელმწიფოებისათვის მუშაობენ, აიძულოს გერმანეთს ემსახურონ.

„ვპერიოდი“-ს დაღუპვა.

ბათომიდან საგოსპიტლო გემის „ვპერიოდი“-ს დაღუპვის შესახებ იტყობინებიან: 25 თიბათვეს, დილის 8 საათზე მტრის წყალქვეშამ რუსეთის საგოსპიტლო გემი ჩასძირა. ეს გემი ბათომიდან ამავე დღეს დილის 5 საათზე ტრაპიზონში წავიდა დაჭრილების მისაღებათ. ვიცესთან ახლო ზღვაში მას დაეწია წყალქვეშა და, მიუხედავად იმისა, რომ გემს წითელი ჯვრის ნიშნები ჰქონდა, მაინც მის წინააღმდეგ ნაღმი გაუშვა, რომელიც გემ „ვპერიოდ“-ს მოხვდა და 10 წუთ. განმავლობაში ჩასძირა. გემზე სულ 67 კაცი იყო, ამათში 7 კაცის გარდა ყველანი გადაარჩინეს.

დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე მდ. სტოხოდზე რუსები ბრძოლით გადადიან. ორთავე მხარის მფრინავები დიდ მხნეობას იჩენენ.

ვოლინში და გალიციაში საარტილერიო ბრძოლაა.

კავკასიის ასპარეზზე გიუმიშხანის მიმართულებით რუსების მზვერავებმა წინ წაიწიეს.

საფრანგეთის ასპარეზზე მაასის ორთავე ნაპირებზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა.

ინგლისის ჯარი ადგილ-ადგილ წინ იწევს და მტერს ზიანს აყენებს.

იტალიის ასპარეზზე ასტიკოსთან იტალიელები წინ იწევენ.

ახალი ამბავი

◆ **სასახლეში.** მათ უმაღლესობათ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასულს, დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძეს და მეუღლეს მილიცა ნიკოლოზის ასულს 26 თიბათვეს ნაშუადღევს წარუდგა სადარბაზოდ სომეხთა ქათალიკოსი გეორგ მეხუთე. იმავე დღეს მათ უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძემ ინახულეს კათალიკოსი.

◆ **თ-დ აზნ. გუბერნიის** წინამძღოლის მოადგილესთან თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილთან გუშინ სადარბაზოდ იყო სომეხთა ქათალიკოსი გეორგ მეხუთე და დარბაზობა გადუხადა.

◆ **გვირაბის კურთხევა.** გუშინ ნაშუადღევს 2 საათზე დიდის ამბით აკურთხეს სოლოლაკის გვირაბი, რომელიც საბოტანიკო ბაღს აერთებს ქალაქიდან მოკლე გზით (ბებუთოვის ქუჩიდან № 30).

◆ **წერა-კითხვის ახალი სკოლა.** სახალხო სკოლების დირექტორმა გუშინ ოფიციალად აცნობა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას რომ დირექციამ შეიწყნარა შუამდგომლობა გამგეობისა ზაქათალის ოლქის სოფ. თასმალოში კერძო დაბალ სასწავლებლის დაარსების შესახებ 4 წლის კურსით, თანახმად 1914 წლ. 1 მკათათვის დებულებისა, იმ პირობით კი, რომ ლექსიკური გაკვეთილები რუსულ ენაზე პირველ წლიდან იქმნას წარმოებული და არა მეორიდან, როგორც ეს წერა-კითხვის სამოსწავლო წესდებულებაშია მიღებული, ვინაიდან ერთ დროს სწავლება ლაპარაკისა და წერა-კითხვისა უცხო ენაზე ბავშვებს მეტად დაამძიმებსო.

◆ **საქართველოს ეგზარხოსის ბინაზე** 27 თიბათვეს შესდგა კრება ომში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტისა. კრებას თავმჯდომარეობდა თვით ეგზარხოსი. დაესწრნენ ეპისკოპოსები გორისა ანტონი, ერევნისა დამიანე, კეთილმოწესრიგენი თბ. მქლესიების დეკ. ს. შოშიაშვილი, ნ. მაქარაშვილი, ს. გოროდცევი და ს. პაპოვი, ბრალმდებელი სასინოდო კანტორისა. ხაზინადარმა კომიტეტისა დ. ნახუცრიშვილმა თანხათა რაოდენობის ანგარიში მოახსენა კრებას. კომიტეტს ამ ჟამად 27 ათას მანეთამდე ჰქონია თავისუფალი თანხა. კრება შეეხო შემდეგ, ომში დაღუპულთა ობლების თავშესაფარის დაარსების საკითხს. დადგენილ იქმნა: დაარსდეს თავშესაფარი მელიქიშვილებისაგან შეძენილ მამულში, ბორჩალოს მაზრაში. ამ თავშესაფართან უნდა დაარსდეს აგრეთვე საგანგებო თავსაფარი პენსიონერ სასულიერო პირთათვის, რომელთაც დაუძლურების გამო სამსახური აღარ შეუძლიანთ.

◆ **ქართულ ენის მასწავლებელი.** ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გუშინ მიიღო ოფიციალი წინადადება თელავის ვაჟთა პროგიმნაზიის დირექტორისა, რომ მისდამი რწმუნებულ პროგიმნაზიაში საჭიროა ქართულ ენის მასწავლებელი. მასწავლებელს 16 გაკვეთილში მიეცემა წლიურად 500 მანეთი, ხოლო აღმზრდელის თანამდებობის ასრულებაში 100 მან. სულ 600 მან. გარდა ამისა იგივე დირექტორი ატყობინებს გამგეობას, რომ საჭიროა აგრეთვე ქართულ ენის მასწავლებელი ვაჟი ან ქალი თელავის ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლისათვის. მასწავლებელს მოსამზადებელ კლასებში 18 გაკვეთილის მიცემაში და აღმზრდელის თანამდებობის ასრულებაში მიეცემა 880 მან., ხოლო უფროს კლასებში 6 გაკვეთილის მიცემაში 240 მანეთი.

◆ **სახალხო სახლ. არს. ქართულ დრამატ. წრის კრება.** ზუბალაშვილის სახელ, სახალ. სახლთ. არსებ. ქართ. წარმოდგ. მმართ. წრის წევრთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ხუთშაბათს, 30 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე წრის კანტორაში (მიხეილის ქუჩა № 102) სასურველია ბევრი წევრი დაესწროს.

◆ **სეტყვამ ს. ბოდბეში** (სიღნაღის მაზრა), როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ 250 დეს. ნათესობა და 500 დეს. სათიბი ადგილები დაუსეტყვავს. ზარალი 15 ათას მანეთს უდრის.

◆ **საქონლის ჭირი.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ თიანეთის მაზრის ს. ს. სიათგორსა, თელათსოფელსა და საყდრიონში საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ **მედავითნეთა კურსები.** ამ თვის გასულიდან ს. გერში, (ცხინვალის ნაწილი), მედავითნეთა მოსამზადებლად არსდება კურსები. კურსების გამგეთ ეპ. ანტონი დაინიშნა ეპ. ანტონი ამ თვის ბოლოს გაემგზავრება გერში.

◆ ქუთაისიდან გუშინ წინ ჩამოსულმა გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ს გამგე ის. კვიცარიძემ გადმოგვცა, რომ მისთვის წერილობით მიუნდვიათ ქუთათურ ქართულ გამოცემების რედაქციებს: „სამშობლო“-ს, „ახალ-კვალი“-ს, „ჩვენი მეგობრის“, „კოოპერაციის“ და „ცხოვრება“-ს მოელაპარაკოს რკინის გზებზე წიგნის შკაფების სუვორინის რწმუნებულს კავკასიაში სტეფანე ნასყიდოვს, რათა მან იკისროს იქაური გამოცემების გავრცელება კავკასიის დაბა-ქალაქებში რკინის გზის შკაფების აგენტების საშუალებით. და თუ ეს არ მოხერხდება, იკისროს ამ გამოცემების გაგზავნ-გამოგზავნა შკაფების საშუალებით რედაქციების აგენტებისათვის.

◆ **მიმოსვლა ბორჯომ-აბასთუმან შუა.** თბ. გუბერნატორმა ვრცელი მოხსენება მიიღო ახალციხის მაზრის უფროსისაგან, საცა იგი მეეტლეთა თავგასულობას მოუთხრობს. ბორჯომ ახალციხის გზატკეცილებზე, საცა თითო მეეტლე 100—200 მანეთს თხოულობს თითო მგზავრობაზე. დასასრულ მაზრის უფროსი შემდეგ ნიხრს უდგენს დასამტკიცებლად: 1) ახალციხიდან ბორჯომამდე—15 მანეთი, უკანვე 25 მანეთი. 2) ბორჯომიდან აბასთუმნამდე 35 მანეთი. უკანვე ამდენივე 3) ახალციხიდან აბასთუმნამდე 10 მან. უკანვე ამდენივე, 4) ახალციხიდან სამკურნალო წყლების გამგეობამდე 12 მან. უკან 3 მან. 5) ახალციხიდან ს. ცნისამდე 3 მან. 6) ახალციხიდან შუხთისის ხიდამდე 4 მ. უკან 1 მან.

◆ „ფოსტის დღიდან“, რომელიც 21—24 მაისში გაიმართა შემოსულა თბ. საფოსტო სატელეგრაფო ოლქის ყველა დაწესებულებებიდან 37869 მანეთი 42 კ.

ხიდაკი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის ხანყოფილების საზოგადო წევრთა კრება დანიშნულია 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ადგილობრივ სამკითხველოს შენობაში. კრება კანონიერი იქნება მიუხედავად წევრთა რიცხვის დასწრებისა. კრების განსახილველი კითხვები უკვე დაეგზავნათ წევრებს 19 ამ თვეს რომელიც არ შესდგა საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო.

დიდუბის ეკლესიის გაქურდვა

27 თიბათვეს ღამე ქურდებს დიდუბის ეკლესიის გაცარცვა მოუნდომებიათ. ყოველ ორშაბათს დიდუბის ეკლესიას დიდძალი ხალხი აწყდება სამლოცველოდ. როგორც ეტყობა ქურდი შიგ ეკლესიაში დარჩენილა. შიგ საჭირო მასალაც ჰქონია. ცნობილი ძვირფასი ღვთისმშობლის ხატი გაუტეხნია, მაგრამ ბევრი რამის წაღება ვერ მოუსწრია. თვით ხატი ხელუხლებელია, ხოლო ხატზე ჩამოკიდებული ნივთები: ბეჭდები, სამაჯურები და სხვა გაუფანტავს. ეტყობა ქურდს შეშინებია და დასახული მიზანი სისრულეში ვერ მოუყვანია. ასულა გუმბათზე და იქიდან თოკის საშუალებით ჩამოცურებულა ეკლესიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ეკლესიას ყარაულები ჰყავს ღამე, მათ ვერაფერი გაუგიათ. ხოლო დილით მიმხვდარან, რომ ეკლესია გაუცარცვავთ. მაშინვე პოლიციას შეატყობინეს. პოლიციამ ყოველი ზომები მიიღო ქურდის აღმოსაჩენათ. მოიყვანა თან მაძებარი ძაღლები და შეუდგა საქმეს. ჯერ ვერ მიუგნიათ ქურდის კვალისმთვის.

მრავალი ხალხი მიდის ეკლესიის დასათვალიერებლად.

მამულის გადასვლა სომეხთა ხელში

შავი ზღვის პირად, დაბა ყულევსა და მდ. ჭურიას შუა მდებარეობს ერთი მამული, ზომით 1500 დესიატინამდე, რომელიც აზნაურ გურალიების საკუთრებას შეადგენს. ამ მამულის ერთი მესამედი უჭირავს ხე-ტყეს, რომელიც ძვირფას საამშენებლო მასალას წარმოადგენს. მაგრამ ვინ არ იცის რომ მამული ჩვენში მძიმე საზიდ მეტ ბარგად არის გადაქცეული. ქართველ მემამულეს არც ცოდნა შესწევს და არც სახსარი რომ მამულის ექსპლოატაციას საკუთრივ შეუდგეს. მას არ ძალუძს თავის მამულში რაიმე ცოცხალი საქმე გააჩაღოს, თავის თავსაც მუდმივი შემოსავლის წყარო შეუქმნას და სხვებსაც სამუშაო გაუჩინოს, საზრდო მისცეს. მამული მისთვის უსარგებლო ქონებაა, რომლის თავიდან მოშორება, მის ზრუნვისა და ფიქრის მუდმივ საგანს შეადგენს. იგი არ დაერიდება თუნდაც ჩალის ფასადაც გაყიდოს თავისი მამული, ოღონდ იგი გაანაღდოს და მის სანაცვლოდ ფული ჩაიგდოს ხელში, ეს მოძრავი და დაუდგომელი ქონება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შეგნება და სურვილი დიდია, რომ ქართული მამული და მიწა-წყალი უცხო ტომისას ხელში არ ჩაუვარდეს, მაგრამ გაჭირვებას და ეკონომიურ მოთხოვნილებას თავის საკუთარი კანონები აქვს, რომელიც სურვილებს არ ემორჩილება. და ბევრი მამული, წინააღმდეგ გამყიდველისა და მთელი ქართველი საზოგადოების სურვილის წინააღმდეგ, სწორედ უცხო ტომის ხალხს ჩავარდნია ხელში. ზემოდ ხსენებული გურალიების მამულიც ვერ ასცდა ამ ბედს. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მთელი ეს მამული არმავირელმა სომხებმა, ვინმე ნაზაროვმა, ნიკონოვმა და სხვებმა იყიდეს, დესიატინა ხუთი თუმნის კვალობაზე. ეს თითქმის პირველი მაგალითია სამეგრელოში სომხებისაგან მამულის ყიდვისა, თუ სახეში არ მივიღებთ იმას, რომ არამიანცმა და ჯალალოვმა მდ. ენგურის ზემო ნაწილში ათი-ხუთმეტი წლის წინად სადადიანო ხე-ტყე იყიდეს. მაგრამ რადგანაც მევრელობამ მოქიშვე მუშაბად ჩამოყვანილ კრუა სომხებს არსებობის პირობები გაუძვირეს და გაუძნელეს, ხოლო ჯიბრზედ წასულ არამიანც-ჯალალოვებს ტყის ექსპლოატაცია გაურთულეს, ეს უკანასკნელნი იძულებულნი შეიქმნენ თავი დაენებებიათ ამ საქმისათვის, რომელსაც გარდა აღნიშნული მიზეზებისა სხვა წმინდა ტეხნიკური მიზეზებიც აფერხებდა. ასე რომ სადადიანო მამულის სომხებზე გადასვლა მთელ სამეგრელოში თითით საჩვენებელ მაგალითად დარჩებოდა, რომ აქაც საქმე არ შეტრიალებულიყო. რაც ომი დაიწყო, არმავირელი სომხები ნაყიდ და დაბევებულ მამულს არ გაჰკარებიან. ნასყიდობის პირობა მათის მხრივ თავის დროზედ აღსრულებული ვერ იქმნა. ამ გარემოებამ საბაბი მისცა ამ მამულის უფრო შეგნებულ თანამოზიარეთ ჩაეშალათ ეს საქმე და სომხებიდან დადებული პირობა დაერღვიათ. დღეს ეს პირები მყიდველებს ქართველებშ შორის დაეძებენ და მათ კიდევაც მიუმართავთ ბ-ნ ხოშტარიასთვის. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ბ-ნი ხოშტარია ამ წინადადებას მიიღებს, ან პირადად შეიძენს ამ მამულს ან და თავის წრიდან ვინმე სხვას აყიდვინებს. თორემ ძნელი იქნება სომხისგან ერთხელ დაჭერილ ადგილის უკან დაბრუნება.

ყულეველი მეგრელი.

ქალაქის საბჭო

27 თიბათვე

კრება გაიხსნა საღამოს 8 ს. 40 წუთზე. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ **ა. ი. ხატისოვმა** შემდეგი სიტყვებით მიმართა საბჭოს: ბ-ბო! გვიან მოდიხართ კრებაზე, რის გამო მორიგ. საქმეების განხილვას ვეღარ ვასწრებთ. აი ეხლა 9 საათი სრულდება და ჯერ საქმეს არ შევსდგომივართ. თუ ვისმეს შეკითხვა გსურთ, გთხოვთ ფრიად საჭირო საქმეების შესახებ შეგვეკითხოთ და ამასთანავე ერთობ მოკლედ, თორემ დღეს რამდენიმე ისეთი საგანი გვაქვს განსახილველი, რომელთა გადადება შეუძლებელია და კრება დიდხანს გაგრძელდება.

შეკითხვები.

ხმ. ათაბეგოვი. უკანასკნელ დროს გაუქმებულ იქმნა პურის ფქვილზე ნიხრი, რამაც დიდი კრიზისი შექმნა თბილისში გამომცხვარ პურის შემცირების მხრივ. ვისი თაოსნობით გაუქმდა ნიხრი და რა იყო გაუქმების მიზეზი? პურის კრიზისის შესახებ ბ-ნი პოლიცმეისტერი ერთნაირ განმარტებას აძლევდა გუბერნატორს; კრიზისს იგი ერთნაირის თვალსაზრისით ხსნიდა. მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე-კი სულ სხვა თვალსაზრისით ხსნიდა კრიზისს და ყოველგვარ ბრალდებისაგან ანთავისუფლებდა ქალაქის გამგეობას. ქალაქის გამგეობას დამცველი არ უნდა სჭირდეოდეს და ნამდვილი მდგომარეობა საქმისა თითონ უნდა ამცნოს ყველას.

თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს ორატორს და აცხადებს, რომ გამგეობას შეუძლიან შეკითხვას მხოლოდ პირველ ნახევრის შესახებ მოგცესთ პასუხი.

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ფქვილზე ნიხრის გაუქმების საჭიროებას დიდი ხანია ჰხედავდა ქალაქის სასურსათო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობენ, გარდა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებისა, აგრეთვე თბილისის გუბერნატორი და მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებული. ნიხრის გაუქმება თათბირს მიტომ მიაჩნდა საჭიროდ, რომ ჟამთა ვითარების გამო ფქვილის ფასი ხშირად იცვლებოდა და ამიტომ შეუძლებელი იყო ნიხრის კვალობაზე ფქვილის გაყიდვა. მაგრამ უკანასკნელი კრიზისი პურის მხრივ ნიხრის გაუქმებას როდი გამოუწვევია, ვინაიდან კრიზისის მიზეზი სპეკულიანტია როდი ყოფილა, არამედ ტრანსპორტის საქმეების არევ-დარევა, რომლის პასუხის მგებელი ჩვენ არაოდეს არ ვიქნებით. ქალაქის ფქვილის ფასზე ყოველ შემთხვევაში ნიხრის გაუქმებას არავითარი გავლენა არ ექნება, ვინაიდან ქალაქს გადაჭრილ ფასებში დიდძალი ფქვილი აქვს დაბევებული და ამ ფასებს არც მოემატება და არც მოაკლდება, რაგინდ ცვლილებაც მოხდეს ბირჟაზე. თბილისის კერძო ვაჭრებიც არ არიან დაინტერესებულნი ფქვილის შეჩერებით, რადგან ისინი იმ მაზანდის კვალობაზე აძლევენ წისქვილს ფასს, როგორც მაზანდაც ფქვილის წამოღების დროს არსებობს.

ხმ. იონასიანი. ხმა გავრცელდა, ვითომც გამგეობა ზოგიერთ პირებს ხელმეორედ სთხოვს საექიმო ფასს.

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ქალაქის საავადმყოფოებში, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი ავადმყოფი წევს. მორჩენის შემდეგ რამდენიმე მათგანს ფული არ აქვს და ექიმი მათ ვინაობას და ბინას აღნიშნავს და ისე ისტუმრებს სახლში. შემდეგ გამგეობა ქალაქის პოლიციას სთხოვს ხოლმე, რომ ვალი გადაახდევინოს ასეთ მოვალეებს და წარმოუდგინოს გამგეობას. პოლიციაც ასეთ მინდობილობას ასრულებს ხოლმე. მაგრამ ხანდისხან [illegible] [illegible] მავან კაცს არავითარი ქონება არა აქვს, არც არსად მსახურებს და ამიტომ ვალის გასტუმრება არ შეუძლიანო. გამგეობამ ასეთ ცნობის გამო ერთ პიროვნებაზე ეჭვი აიღო და თითონვე გამოიძია საქმე. აღმოჩნდა, რომ პოლიციის მოხელეს ფული გადაეხდევინებინა მისთვის, მაგრამ გამგეობისათვის ყალბი ცნობა მოეცა. გამგეობამ ეს შემთხვევა ბ-ნ პოლიცმეისტერს აცნობა. როგორ დაისაჯა აღნიშნული მოხელე, არ ვიცით, მაგრამ ყალბი ცნობის მოწოდებას შემდეგშიაც ჰქონდა ერთხელ ადგილი. მაშინ კი გამგეობამ ეს ამბავი გუბერნატორს აუწყა. ნალაპარაკევიდან ცხადად სჩანს, რომ გამგეობას მეორედ არავისათვის არ მოუთხოვია ფული, არამედ გამგეობამ გამოიძია საეჭვო ცნობა.

(შემდეგი იქნება)

სასტიკი ბრალმდებელნი

სალ პოლიტიკის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს კონკრეტულ ცხოვრების გათვალისწინება და ამისდა მიხედვით შექმნა იმგვარ პირობებისა, რომელთაც არსებულ სოციალ განწყობილებაში ძალ-უძთ მიანიჭოს ხალხს maximum-ი იმ სიკეთისა, რასაც რეალი ურთიერთ დამოკიდებულება გამოიღებს და განახორციელებს.

კაცობრიობის ისტორიის განვითარების ყოველ საფეხურზე—დაწყებული ჩვენი ხანიდან ვიდრე ძველისძველ, საუკუნო ბურუსით მოსილ წარსულამდე, სადამდისაც კი უწევს ბეჯით გამომკვლევლთა ჩირაღდნის ოდნავი შუქი,—აღსანიშნავია ის მოვლენა, რომლის საშუალებით, ავად თუ კარგად, მიმდინარეობს სოციალ-პოლიტიკური ევოლიუცია და რომელსაც იურისტები უწოდებენ modus vivendi-ს; ეს არის ის მიჯნა, რომლის მოპირდაპირე მხარენი ხშირად შეიცავენ ერთი მეორის დამშლელ და დამაფერხებელ მომენტებს, ხოლო უკეთუ მოპირდაპირენი დაშორდნენ უკიდურეს წერტილს და მოისურვეს მოთხოვნილებათა მოსმენა და დაახლოვება ზემოაღნიშნულ ნეიტრალ მიჯნასთან, ამ შემთხვევაში დათმობა ანუ კომპრომისი იგულისხმებს ნამდვილ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს, ერთგვარ ორიენტაციას გადახლართულ ცხოვრების კვანძში.

ინგლისის პოლიტიკური ისტორია წარმოადგენს ამ მხრივ ტიპიურ მოვლენას: მისი პირველ ხარისხოვანი კულტურა სწორედ რომ შედეგია ამ სახელმწიფოს მიერ დიდი ხნის შეთვისებულ მიმართულებისა, რომლის წყალობით ინგლისის სახელმწიფო სხეული დინჯად და მწყობრად ვითარდებოდა. ამიტომაც ინგლისის პოლიტიკა საზოგადოდ დიდ სიმპატიას პოულობს ისეთ მეცნიერთა შორის, როგორიც არიან „ანგლომანები“: მ. კოვალევსკი, ს. მურომცევი, პ. ვინოგრადოვი, ლ. შალლანდი და სხვანი.

რუსეთის ცხოვრების თავისებურობა არ იძლეოდა მაგალითებს, რომ იმპერიაში მოსახლე სხვა და სხვა ერი ჩვეული ყოფილიყო თვისი ზრახვანი და იდეალები დაექვემდებარებინა განსაზღრულ მეთოდისათვის, რაც საუკეთესოდ შეაჩვევდა ხალხს კულტურის ფეხ-და-ფეხ მიყოლას. პოლიტიკურ უკულმართობამ და ბიუროკრატიისაგან შექმნილმა ხელოვნურმა ზღუდეებმა ისეთნაირად დაამახინჯა ჩვენი საზოგადო სახელმწიფო-უფლებრივი განწყობილება, რომ არამც თუ გადაგვაჩვია ცხოვრების კანონიერ მეთოდს, არამედ ძირიან-ფესვიანად მოგვისპო ხალისი უფლებრივ შემოქმედებისა შეგვათვისა მოუწყობლობას და ანარქიას... ჩვენი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური მხარე წააგავს დაბმულ საზღაპრო მდევს, რომლის ენერგია მხოლოდ იმაში იხარჯება, რომ იგი უიმედოდ ცდილობს შფოთავს და ღრინავს, მაგრამ ბოლოს იძულებულია სულ-მიხდილი მიეგდოს, როს საშინელი სინამდვილით იგრძნობს თავის უძლურობას.

თვით რუსეთის მოწინავე საზოგადოებას ვერ შეუთვისებია კულტურული ბრძოლა, რომელსაც ჩვეულია ევროპის ხალხი. უსაზღვრო სიყვარულიც რომ ჰქონდეს მას პროგრესისა, ძლიერი აღფრთოვანებითაც რომ იყოს აღჭურვილი—მას აკლია დისციპლინა, პოლიტიკური აღზრდა! მაშ რითი, თუ არ უკანასკნელი თვისებით, უნდა აიხსნას ის შეთანხმებული ყაყანი, რომელიც ასტეხა რუსეთის ლიბერალურმა პრესამ კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გამო. ჩვენ მოწადინებულნი ვართ განსაკუთრებით ამას მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწეროთ ამტყდარი ხმაურობა, ვინაიდგან სხვაგვარ კრიტერიუმის მეოხებით რუსულ გაზეთების ყვირილი მიემსგავსება ქვევრში ჩაძახილ ხმას! ჩვენ არა გვსურს ეს „საპატიო“ როლი მივანდოთ რუს ლიბერალებს! დავსძენთ მარტო, რომ მათ აურ-ზაურს ერობის საკითხში ვნების გარდა არაფერი მოუტანია: ჯერ სექციებათ არც კი იყო დაყოფილი კრება, რომ მოხალისე აგენტებმა აფრინეს პეტროგრადსა და მოსკოვს დეპეშები—ჰარიქა, გვიშველეთ, გამოგვეხმაურეთ, თორემ რეაქციონური ქართველ-თათართა კავშირი განიზრახს პროგრესიულ დემოკრატიის უმცირესობის გათელვას! ქამისა მას დაწყებული ლიბერალურ პრესის განგაში ჯერაც არ შეწყვეტილა.

საგანგებოთ გამოგზავნილი ურჩ მუსულმან-ქართველობის ჩასაგონებლად სამხედრო-იურიდიულ აკადემიის ყოფილი პროფესორი ცნობილი ვ. კუზმინ-კარავაევი ტრაბახით აღნიშნავდა „რუსკია ვედომოსტებში“, რომ მან ზედ-მიწევნით შეისწავლა კავკასიის ერობის საკითხი, გადაათვალიერა მასალები, გადიკითხა ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები და მივიდა იმ უებარ დასკვნამდე, რომ 1890 წლის ერობა კავკასიისათვის გამოუსადეგარია! პატივცემულ პროფესორს ავიწყდება, რომ „თათარ-ქართველთა ბლოკმა“ კარგად იცის, რომ 2×2=4! ჩვენ არ ვიბრმავებთ თვალებს და პეტროგრადის დავთარხანებში შეთხზული „დებულება“ არ მოგვაქვს, ვითარცა ნიმუში უმწიკვლო საკანონმდებლო აქტისა! მაგრამ მოგვაწოდეთ უკეთესი დებულება და უარი გითხარით, ბატონებო? დღეს, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს „პროგრესიულ ბლოკის“ რამოდენიმე კუდ-მოკვეცილი პროექტიც-კი სამუდამოთ იმარხება, დღეს როდესაც ამ უკანასკნელ დღეებში წამოყენებულ „საგლეხო რეფორმას“, სადაც ჯერ არს, შეხვდენ, როგორც „მიტინგურ აზროვნებას“, დღეს, როდესაც ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებას გამოეცხადა უნდობლობა, რუსეთის ლიბერალური პრესა გულის-წყრომას გვიცხადებს: როგორ გაბედეთ და შეიწყნარეთ რეაქციონური საერობო დებულება და არ მოითხოვეთ ის, რაც „მოწინავე დემოკრატიამ“ დაასახელაო! ეჭვს გარეშეა, ბევრი სოლოლაკელი „აბორიგენი“ გადიხარხარებდა, როდესაც ამოიკითხავდა „რეჩში“, ან „რუს. ვედომოსტებში“, რომ იგი ნამდვილი დემოკრატი ყოფილა, რომელსაც მდიდარი აზნაურ-ბეგობა ასე უდიერად ეპყრობა და სჩაგრავს! ამაღლევებელი სურათია. მკითხველო: ერობის თათბირში მონაწილე ქართველი სჩაგრავს დოლუხანოვს და არ აძლევს საწყალ „დემოკრატს“ სულის ამოთქმის ნებას!!!

ეჭვი არ არის, წასაბაძია უმცირესობის და ისიც დემოკრატიულ უმცირესობის დახმარება და შველა, მაგრამ დასაფიქრებელი ის არის, რომ რუსეთის ლიბერალურ პრესას ზოგჯერ გულ-ჩვილობა ეტყობა, იგი ცრემლებს თანაბრად დარა ღვრის ყველასათვის; სად იყო თქვენი ადგზნებული, ქვის გამხეთქი წერილები, ბ-ნნო გესსენ-კუზმინ-კარავაევებო, როდესაც თითქმის მთელ ქართველ ერს სცხებდენ მოღალატეობის ჩირქს? რატომ ამ აღიმაღლეთ სიმართლის დასაცავად თქვენი ხმა, როდესაც დეპუტატი აჯემოვი გაკადნიერდა და აზრუმის აღების გამო „ბირჟ. ვედომოსტ.“ გამოაცხო ბრტყელი პათეთიური წერილი, სადაც სომხის ერს ახასიათებდა, როგორც „ერთად ერთ ლოიალურ ელემენტს კავკასიაში“?! რათ მოგინდათ სამარისებური სიჩუმე მაშინ, როდესაც თვით უზენაეს მთავარ სარდლის შტაბი ადასტურებს ქართველი ჯარის-კაცის უტყუარ სიმამაცეს და თავგანწირულობას? ბრძენი პოლიტიკოსი პირუთვნელად უნდა განმარტავდეს ცხოვრებათა მოვლენას, თავის მსჯელობას იგი უნდა ამყარებდეს ობიექტიურ ფაქტებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაცვლად პოლიტიკისა, წარმოიშვება უგვანო პოლიტიკანობა.

რუსის ლიბერალები წარბ-შეუხრელად ამტკიცებენ იმას, რომ „თათარ-ქართველთა ბლოკმა“ უკუ აგდო უფრო პროგრესიული პროექტი და იმისი შეგნება კი არა აქვთ, რომ საქმე მარტო მოთხოვნა როდია! კავკასია და კერძოდ საქართველო იმ თავიდანვე იკვებება რუსეთის შიდა გუბერნიების ნასუფრალით, რასაც ნათლად მოწმობს თუნდ იგივე ერობის შემოღების ესოდენი დაგვიანება, ან, თუ გნებავთ, ანორმალი მდგომარეობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა, და ნუ თუ ამის მოწმე რუსის ლიბერალური პრესა გულწრფელად აღიარებს, რომ ჩვენ შეგვეძლო უკეთეს ნიადაგზე აგებული ერობა მოგვეთხოვა და ეს მოთხოვნილება კიდევაც განხორციელდებოდა?! პოლიტიკური მოუმწიფებლობა იქნებოდა, უკეთუ ჩვენს სურვილს დიდ ფრთებს შევასხამდით და არ დავეყრდნობოდით იმგვარ საფუძველს, რომელიც ამ შემთხვევაში კომპრომისს აღიარებს და რომელსაც არავითარი გაბათილება არ ჰქონდა ჩვენი ერობის შემოღების საკითხში, უკეთუ მთავრობა მას კეთილ განზრახვით და შეწყნარებით შეხვდავდა.

ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს, რომ რუსის ლიბერალურმა პრესამ გამოიჩინა „გმირული“ უცოდინარობა საქმის ვითარებისა და თავისი უადგილო და მოუხეშავი ჩარევით უფრო გააღრმავა ისედაც გამწვავებული დამოკიდებულება ქართველ-სომეხთა შორის.

რაც შეეხება სომეხთა უმცირესობის ასე გაბედულად დემოკრატიის სახელით მონათვლას, სჩანს, დამწერთ აუ შეუთვისებიათ ჯეროვანად ამ ტერმინის მნიშვნელობა, თორემ სომხის ვაჭარ-ჩარჩებს, რომელთაც, სხვა არა იყოს რა, ცოტათი კიდევაც ეჩოთირებათ ეს ძალად მათ თავზე მოხვეული ეპიტეტი, არ ჩაირიცხავდა დემოკრატთა ბანაკში. გარდა რუს-ლიბერალებისა, ყველასათვის ცხადია, თუ რა იგულისხმება „დემოკრატიულ უმცირესობის“ მიერ წამოყენებულ პროგრესიულ პროექტში; ისიც კარგად ვუწყით, რათ დასჭირდა ხსენებულ „დემოკრატიულ“ პლუტოკრატიას „მცირე საერობო ერთეული“, ან შეცვლა საადგილ-მამულო ცენზისა ქონებრივ ცენზათ, ან და გამოყოფა ზოგიერთ ქალაქებისა ცალკე საერობო ერთეულად! ამაზე ქართულ და ზოგიერთ რუსულ გაზეთებში საკმაოდ დაიწერა და ყოვლის მცოდნე რუსეთის ლიბერალიზმი, ვფიქრობთ, გაეცნობოდა საკითხის გამორკვევას ამ მხრივაც, სიმართლის გამოსარკვევად.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან ეს ხელოვნურად ატეხილი ყაყან-ჩოჩქოლი დასცხრება და პირუთვნელი მემატიანე შეეცდება სინამდვილის აღდგენას და განაქარწყლებს იმ ცრუ და დაუმსახურებელ შეხედულობას ქართველი ხალხისადმი, რომელიც რუსის ვრცელ მასაში მუყაითად სთესა გავლენიანმა პრესამ.

რ. ინგილო.

მოსკოვი.

ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის მსურველთა საყურადღებოდ

წერილით თუ პირადად ბევრი გეკითხება ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის თაობაზე; რადგან კერძოთ პასუხის მიცემა ყველასი ძნელია, ამისთვის გაზეთის საშუალებით ვამცნებ შემდეგს: ფშავ-ხევსურეთი მოწყვეტილი კუთხეა საქართველოისა, თუმცა იგი ძველი ნაშთებით (მაგ. ტაძრებ-ციხე-კოშკებით) ძალიან ღარიბია, სამაგიეროდ აქ ხევსურეთში ხალხია ძველი.

მე ჩემის მხრით ყველას ურჩევ, რომ ამ კუთხეს გაეცნონ, ვინაიდან მხოლოდ ერთმა ხევსურეთმა შეინახა ძველი ენა და ზნე-ჩვეულებები. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ხევსურთა შორის სასჯელის მისჯა დამნაშავესადმი. მათ მიერ მისჯილი კანონი ისე მოდის სისრულეში, როგორც „პალატის“ გადაწყვეტილება პოლიციისგან. ხევსურს თუ სხვა კუთხის კაცმა არ უჩივლა „რუსის სასამართლოში“ თავის დღეში ფეხს არ შესდგამს; ყოველი დანაშაულობა კანონდება ადგილობრივად. ერთი სიტყვით ვერც ერთი კუთხე ჩვენი სამშობლოსი იმდენ მასალას ვერ მისცემს ძველი ცხოვრებისას მოგზაურს, როგორც ხევსურეთი.

აი მოგზაურობის წეს-რიგი: თბილისიდან მცხეთამდე რკინის გზით. მცხეთიდან ეტლი ღირს ერთი მანეთი ქ. დუშეთამდე. დუშეთიდან წავლენ არაგვის პირზე ს. ჟინვალამდე. ს. ჟინვალი ყოფილი ქალაქია და დიდი ღირს შესანიშნავი თავის ციხე-კოშკით და აკლდამებით. ჟინვალიდან თვალევამდე პირდაპირი გზით 12 ვერსია. თვალევში ვაჭრობენ ბ-ნი შანიძეები, აქ შეიძლება ღამის გათევა და ვინაობის გაგება, თვალევიდან მივლენ მაღაროს კარში. იქ ინახულებენ ბაჩანას, რომლის შემწეობითაც გაეცნობიან გომეწარში სიძველეთ და კოპალაში ციხეებს. მაღაროს-კარიდან შვიდ ვერსზე ჩარგალია, ვაჟას სოფელი. ჩარგალიდან პირდაპირ მივლენ ორ-წყალში. აქ არაგვი შუაზე გაიყოფა. მარცხნივ წავა გზა ხევსურეთისაკენ და მარჯვნივ ისევ ფშავეთისაკენ. მგზავრები ისევ ფშავეთისაკენ შეჰყვებიან და ნახევარ საათში მივლენ ს. შუაფხოში. (ფხოში) აქ ყოველივე ცნობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ბლაღოჩინთან ან სოფლის სამმართველოში. შუაფხოდან ერთ ვერსზე არის „გოგოლაურთის ციხე“. ამ ციხიდან შვიდ ვერსზეა „თამარის მონასტერი“, იქვე მახლობლად ცნობილი „ლაშარის გორი“. ლაშარის გორიდან ათ ვერსზე „წყაროს თავი“ ყოფილი მონასტერი. აქ გათავდება ფშავეთი და მდ. არაგვის სათავეც. მგზავრები ისევ უკან მობრუნდებიან და მოვლენ ორ-წყალში; იქიდან შეჰყვებიან ხევსურეთისაკენ და ორი საათის შემდეგ მივლენ ს. ბარისახოში. ბარისახოდან გაეცნობიან მთელ ხევსურეთს.

ურჩევ მოგზაურებს, რაც შეიძლება თავდაბლად და ქართველურად მოეპყრან ხევსურელებს, აგრეთვე ტანისამოსითაც უბრალოთი იყვნენ თუ უნდათ ახლოს გაეცნონ ხევსურებს. ბარისახოს ზევით ვინც წავა მისთვის საჭიროა ქალამნებიც. გზაში ნაბდებიც მოუნდებათ, რადგან ღამე ცივა და ხშირი წვიმებიც იცის. ვისაც ძველი ნაწერები არ უკითხავს ხევსურული ლაპარაკის გაგება გაუჭირდება, მაგრამ საჭიროა ადგილობრივი კარგად მცოდნე, რომ შეეძლოს გადაცემა.

საუკეთესო დრო მოგზაურობისა არის პირველი მკათათვიდან შუა მარიამობის თვემდე.

ფ. სხვრატორელი.

ირ. ევდოშვილის კრებული

ირ. ევდოშვილის კრებული თანდათანობით დაურიგდა ყველა დამხმარეთ და აგენტებს ხელის მომწერთა დასარიგებლად.

თითო ცალის დამკვეთთ წიგნები ეგზავნებათ ფოსტის ხარჯის ფასდადებით.

უკეთუ რომელიმე ხელის მოწერს წიგნი, რაიმე მიზეზისა გამო, 4 მკათათვემდე არ ექნება მიღებული, უმორჩილესად ვთხოვ ღია ბარათით მაცნობოს „საქართველოს“ რედაქციაში თავისი მისამართის აღნიშვნით და წიგნი დაუყოვნებლივ გაეგზავნება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვთხოვ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც სრული ანგარიში არ გაუსწორებიათ, ნულარ დაგვიგვიანებენ.

ნ. კურდღელაშვილი.

დაბა-სოფლები

სოფ. მეჯვრისხევი. დიდი ხანია, რაც სოფ. მეჯვრისხევში არსებობს სამკითხველო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა ვაჟა-ფშაველას სახელზე; თუმცა დაწესებულია, რომ კვირაში ორჯელ სამკითხველო ღია იყოს, მაგრამ ორ კვირაში ერთხელ არ არის ღია. გაზეთები იმ დღესვე, რა დღესაც იღებს სამკითხველო, არ არის სამკითხველოში; ამ გარემოებით სარგებლობენ კერძო პირები და მიაქვთ თავიანთ სახლებში.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება,

დავ. გამრეკელი.

წერილი რედ. მიმართ

ამ მოკლე ხანში გარდაიცვალა პატიოსანი მოხუცი **გედეონ კაცია ძე გომართელი.** მან 1200 მანეთი დასტოვა შემდეგი ანდერძისებური ბარათით: ეს ფული ჩემი მონაგარია და რაც ჩემ დაკრძალვის ხარჯებს გადარჩეს სოფ. გორისის სკოლის გახსნას მოახმარეთო.

ეს ფული მის შვილს ბ. ივანეს უკლებლივ გადაუდვია ამ კეთილ საქმისთვის. ხსენება და მოგონება პატიოსან მოხუცს გედეონს და სიცოცხლე და დღეგრძელობა ბ-ნ ივანეს.

იქნება ეხლა მაინც საქმეთ ექცეს სოფელს მთელი ორი წლის განზრახვა-ოცნება. დიახ, მთელი ორი წელიწადი იქნება, რაც სოფელი გორისა მოწადინებული იყო გაეხსნა თავისთვის რიგიანი სკოლა თავის ფართო შენობით, რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო ყველა ის დაწესებულება, რაც აუცილებლად საჭირო იყო მისთვის დღეს. მაგალითად, სკოლასთან ერთად წიგნთსაცავ-სამკითხველო, სასოფლო ბანკი, საფერშლო პუნქტი და სხვ.

მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოგვარდა დღემდის ეს კეთილი საქმე. მიზეზი ამისა დღევანდელი ომიანობაა. ყველანი, რომელნიც გვპირდებოდნენ ყოველგვარ დახმარებას, აქ აღარ არიან, ბევრი მათგანი სამუდამოდ გამოესალმა წუთი სოფელს და ბევრი კიდევ სანგრებში სხედან და თავიანთ სიცოცხლის წამებს წუთებით ითვლიან.

პატიოსან მოხუცის დატოვებულმა ფულმა კვლავ გამოახმაურა საზოგადოება. ეს პატიოსანი მოხუცი ადრევე დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მოწადინებულ საქმეს და უფრო სოფლის ნივთიერ ხელმოკლეობას.

მივმართავ სოფელს და აგრეთვე ამ სოფლის გულშემატკივრებს, ნუ დავაყოვნებთ და ყველამ ჩვენ-ჩვენი წვლილი გამოვიღოთ, რომ ეს საქმე მალე გავაკეთოთ და მოხუცს ანდერძი შევუსრულოთ. მე, ჩემის მხრით, ათ თუმანს გადავცემ სოფელს და აგრეთვე ვეცდები ფულის შეგროვებას ნაცნობ-მეგობართა შორის ამ საქმის სასარგებლოდ.

გ. ი. ნახრაძე.

მოსკოვი.

ბ-ნ პართენ გოთუამ თავის გარდაცვალებული ძმის ხსოვნის აღსანიშნავად დახმარება აღმოუჩინა ქვედა-ძიმითის სკოლის მოწაფეებს 25 მანეთით, სამკითხველოს სასარგებლოდ გადმოგვცა 23 მანეთი, უფასოთ დაგვითმო „ზაკ. რეჩი“ და თან ასი მან. ქართული წიგნებით დახმარება აგვითქვა, რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებენ მოწაფეთა მშობლები და სამკითხველოს დამაარსებელთა წრე.

საყურადღებო და მისაბაძი მაგალითია პ-ლ მიხეილ მორჩილაძისა, რომელმაც თავისი გარდაცვალებული შვილის ხსოვნის აღსანიშნავად, ნაცვლად უშინაარსო ქელეხისა, სამკითხველოს სასარგებლოდ გადმოგვცა 25 მანეთი.

სამკითხველოს საქმეში დაგვეხმარენ აგრეთვე: ბბ. ფილიპე გოგელია 12 მან. 50 კაპ.-ით, სამუელ გოგელია „თანამედრ. აზრ“-ის გამოწერით, დათიკო შავიშვილი „სახალხო ფურცელი“-ს დათმობით, ეპიფანე სალუქვაძე—1 მანეთით, პახუმ მკერვალი—50 კაპ., ლადიკო პატეიშვილი—40 კაპეიკით და პართენ სალუქვაძე—30 კაპ.

ყველა ზემოხსენებულ პირთ ღრმეს მადლობას უცხადებს ქვედა-ძიმითის სამკითხველოს დამაარსებელთა წრე.

მონდობილებით—წრის ხელმძღვანელი, მასწავლებელი **კოწია ჭუბაბრია.**

თეატრი

ხარფუხის კლუბი.

დღეს, 29 თიბათვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა „ხანუმა“, კომედია სამ მოქმედებიანი ცაგარლისა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

შემოწირულება

ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრაკერვის სკოლას **ნოე გლახას ძე სიხარულიძემ** სკოლის საკუთარ შენობის ასაგებად შემოსწირა ათი თუმანი.

გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველს **სკოლის გამგეობა.**

რედაქციამ მიიღო შემოწირულება **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** სასარგებლოდ ბ. გიორგი (კოლა) ელიავასაგან 5 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგ.	№ 9,	10 33	სალ.
ბორჯომის	სამგ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სალ.
ყარსისაკენ	სამგ.	№ 4-3,	11.13	სალ.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58 „	დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სალ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგ.	№ 18,	10.12	სალ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგ.	№ 7,	4.12	სალ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სალ.
თელავიდან		№ 3, . 7	„ 58 „	სალ.

საგალანტერიო მაღაზია
ძრ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის ხაქონელი
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია
„ლალიძის წყალი“

ქუთაისში
გ. ლალიძე და ამხ.
საუკეთესო ხილეულ წყალი
ქარხანა
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.